# ლომისი

რედაქცია
ტფილისი, ხელოვანთა სასახლე სერგიევის ქ. № 13. ტელ. 17—51.

სამი თვით 100 ათასი მანეთი
განცხადების ფასი: პირველ გვერდზე ნომპარელით: ორმოცდა ათი ათასი მ.; ტექსტის შემდეგ: ოცდა ათი ათასი მ.

კვირა.
მარტის 4
1923.

ფასი 20.000 მ.

№ 27. სრ. საქართველოს მწერალთა კავშირის ყოველ კვირეული გაზეთი № 27.


## წარსულის პატივისცემისათვის

ერთი ფრანგი ფილოსოფოსი ამბობს: ადამიანების ცხოვრებას განაგებენ არა იმდენად ცოცხალი თაობანი, რამდენადაც მიცვალებულნი. ჩვენი გრძნობა, ჩვენი გონება, ჩვენი სული—დატვირთულია იმ იდეებით, იმ რწმენითა და ემოციებით, რომელიც კაცობრიობის საუკეთესო შვილებს თავის დროზე აღელვებდა, რისთვისაც ისინი იბრძოდნენ და რასაც მძაფრად განიცდიდნენ. ეს კავშირი წარსულთან პირველყოფილ ველურებსაც კი ესმოდათ, ამიტომ იყო, რომ წინაპართა სული მათთვის წმინდა და სათაყვანებელი იყო.

ჩვენში, სამწუხაროდ ამ წარსულის პატივისცემა, გრძნობა მემკვიდრეობისა—ნაკლებად არის განვითარებული. ჩვენში ყველას ჰგონია, რომ ისტორია მისით იწყება და ალბად მისითვე დამთავრდება. უნდა მოისპოს ეს მდგომარეობა და არასოდეს არ უნდა სწყდებოდეს ის ძაფი, რომლითაც ახლანდელი თაობის სული ძველთანაა გადაბმული. ეს არ ნიშნავს, რასაკვირველია, იმას, რომ ჩვენ ძველთა იდეებით ვიცხოვროთ და ყველაფერში მათ მივბაძოთ. არა! ეს მხოლოდ იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ისტორიულის თვალსაზრისით შევხედოთ ჩვენი მოღვაწეების ღვაწლს და ჯეროვნად შევაფასოთ იგი. განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას იმ მწერლებსა და პოეტებზე, რომელნიც კიდევ დიდხანს დარჩებიან ხალხის გულის მესაიდუმლედ. მათ ნააზრევსა, მათ შემოქმედების ნაყოფზე იზრდება ახალგაზდობა. მათის ცეცხლით ვიწვით ჩვენც და მათი გრძნობის სიფაქიზე ამახვილებს ჩვენს გრძნობებს. და პატივისცემა ყველაფერ იმისა, რაიც მათ მოქმედებასთან, მათ ცხოვრებასთანაა დაკავშირებული—სავალდებულოა ჩვენთვის.

ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში იბეჭდება ის განკარგულება, რუსეთის კომისარიატს რომ გამოუცია კულტურულ ნაშთთა დაცვის შესახებ. ამ განკარგულების ძალით—დაცულ უნდა იქმნას პუშკინის სოფელი (მიხაილოვსკოე), ტურგენევის, ტოლსტოის, ჩეხოვის და სხვათა სახლები, სადაც მათ უწერიათ, უცხოვრიათ და სადაც დროს გატარება ჰყვარებიათ.

კარგი იქნებოდა ჩვენც მივვებაძა ამ შემთხვევაში—რუსეთის მაგალითისთვის. რანაირ მდგომარეობაშია ილიასეული სახლი საგურამოში? რა ყოფაშია აკაკის სახლი მისსავე სოფელში? არავინ ჯეროვან ყურადღებას მათ არ აქცევს. და თუ მომავალშიაც ასე გაგრძელდა—ეს ნაშთები მთლად მოისპობა. წ. კ. საზოგადოება ავად თუ კარგად უვლიდა ამ სახლებს. მაგრამ დღეს იგი ისეთს მდგომარეობაშია, რომ სრულს უმწეობას განიცდის და თვით სჭირდება მოვლა-პატრონობა.

უბედობა სჭირდათ ჩვენს მწერლებს. ჩვენ ისიც კი არ ვიცით, სად მიიცვალა დავ. გურამიშვილი. ბესიკი შორეულ იასაში დაიმარხა და მისი საფლავი არავის აგონდება. გრიგ. აბაშიძის საფლავი პეტროგრადშია და მისი ჩამოსვენება სამშობლოში, რომელიც ასე უყვარდა—არავის აგონდება. იყო კი ერთ დროს საამისო მუშაობა.

ვაჟას სიცოცხლეში ჯეროვნად ვერ მოუარეთ. იქნებ ეხლა გამოვისყიდოთ დანაშაული და დავიცვათ მისი ქოხი, სადაც იგი თავის უკვდავ ლექსებსა და პოემებს სწერდა.

„აწმყო, შობილი წარსულისაგან, მშობელი არის მომავლისა“. ხომ ვიცით ეს კარგად, ხომ გვახსოვს მუდამ? თუ გვავიწყდება—ცეცხლის ასოებით დავიწეროთ გულის ფიცარზე.

მაშინ, მხოლოდ მაშინ, როდესაც ჩვენ არ გვექნება გაწყვეტილი სულიერი ძაფი ერის გულის მესაიდუმლეებთან—ვიქნებით ნამდვილი და ღირსეული მათი მემკვიდრენი. ხანი არ იცდის. ყოველი დღე—ჩვენი კულტურის და მწერლობის ნაშთებისთვის—მათი გაქრობის და გავერანების მომასწავებელია. ყურადღება უნდა მიექცეს ამას, ვიდრე გვიან არ არის. და თუ ჩვენ შევსძელით ამ საკულტურო და ეროვნულ საუნჯეთა დაცვა, თუ ჩვენ ჯეროვნად დავაფასეთ ქართველი ერის საამაყო მუშაკთა ღვაწლი—ეს დიდი იქნება. ეს იქნება ის პირველი ნაბიჯი, რაიც შეგვაძლებინებს მომავალში—ილიას საფლავზე დადგმული ძეგლი—„მწუხარე საქართველო“, აკაკის საფლავზე—ერთი მწერლის თქმით: მხიარულ საქართველოდ შევსცვალოთ.

ბრუტუსი.

## ლიტერატურული ნიჰილიზმი

4.

მეოცდაათე წლებიდან მესამოცე წლებამდე ქართველი ერის საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრება მეტად დამაღონებელ სურათს წარმოადგენს. რუსეთმა ერთიანად დაიმორჩილა ხალხი და მისი მოწინავე საზოგადოება. თავისუფლების და დამოუკიდებლობის ტრადიციები თანდათან ქრებოდა. ბრძოლის სურვილით აღგზნებულ დროის მომსწრე საზოგადოება და თაობანი გადადიოდენ. ახალი დამრღვეველი ძალა შეიჭრა ქართულ ოჯახებში.

ამ დროინდელ საზოგადოებას თითქოს არსებობის საგანი დაჰკარგოდა. მას თითქმის აღარაფერი იტაცებდა და მშვიდობიანი, უდარდელი, ხორციელი ცხოვრების ფიქრსა და ნატვრაში იყო ჩაფლული. მას დიდიხანია ჩამოერთვა თავის თავზე ზრუნვის უფლება, მისი ფარი და ხმალი საკმაოდ დაჟანგდა, ასე რომ მათი მოგონება უკვე აღარ იტაცებდა მას არა თუ სამოქმედოდ, უბრალო ფიქრთა გამოსაწვევად და სამუშაოდაც კი. მაშინდელი დრო „ბურუსიან, ღრუბლიან“ დღესავით გამოიყურება. ცხოვრება დავლახავდა „ზურგ გადაღლეტილ დავარდნილ ცხენსავით“. ასეთ პირობებში ვის „მოკითხავდით აზრს, გონებას, თავგანწირულებს საქვეყნო საქმისათვის. აკი არც არა შეინიშნებოდა რა ამ გვარი. ქვეყანა მხოლოდ ლუარსაბ თათქარიძეებით აივსო, რუსეთუმეებმა დაამშვენეს ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება და საზოგადოებრივი სამსახურის ასპარეზი“ („ივერია“ 1883. IX. შინაური მიმოხილვა).

მაშინდელი ძველი მწერლობა,—სწორი გამომხატველი ამ ხანის გონებრივ-საზოგადოებრივი სიღატაკის, მისი მცონარების და უილაჯობის ერთიანათ ცხოვრების წვრილმანებშია გახვეული. რა თქმა უნდა, მაშინდელ საზოგადოებრივ სიბნელეს ელვასავით სჭრის ბარათაშვილის, ორბელიანების და კიდევ ერთი-ორის მადლიანი პოეზია. მაგრამ იგი აღმოცენებულია სხვა ნიადაგზე, იკვებება სხვა დროის ტრადიციებით, ამეტყველებულია პატრიოტულ-რომანტიული სულისკვეთებით. მათ ბავშობისას და ჭაბუკობისას რუსულ ცხოვრების და მწერლობის უპირატესობა ისე მაგრად და დამჩაგვრელად არ იყო საგრძნობელი როგორც შემდეგში (ი. მეუნარგია, „ცხოვრება ნ. ბარათაშვილისა“).

მაგრამ ამ დროის გავლენას მაინც ვერ აცდებოდა მათი სამწერლო მოღვაწეობა, რაც უნდა ადრე ყოფილიყო შთანერგილი მათს სულსა და გულში სხვა ხანის ისტორიული რწმენა, წარსული საქართველოს მთლიანობის შეგრძნება და გულდამთუთქავი სევდა-წუხილი სამშობლოს ბედის უკუღმა ტრიალისათვის.

ჩვენს ცხოვრებას სულ უფრო და უფრო უჯდებოდა გულსა და რბილში თვითპყრობელობის რუსული პოლიტიკის სულთა-სწრაფვა. განსაკუთრებით ვორონცოვის „მზრუნველობის“ დროს გაძლიერდა ქართველ საზოგადოებაში ის პოლიტიკური ოპორტიუნიზმი, რომელიც პირმშო შვილი იყო ტახტის ერთგულების და ქართულ კულტურულ დამოყვრების.

აი ამ ოპორტიუნისტული სენით არის დაავადმყოფებული მთელი მწერლობა დაწყებული ბარათაშვილით და ორბელიანით და გათავებული-ჟურნალურ პუბლიცისტიკით. ორბელიანები, გრიგოლ და ვახტანგ, მდუღარე ცრემლს აფრქვევენ, დასტირიან საქართველოს წარსულ დიდებას. მათი მაღალ პატრიოტულ გრძნობით აღგზნებულ ქნარიდან წმინდა იერემიასებური გოდება ისმის სამშობლო ქვეყნისათვის. გულაყრილნი არიან აწმყოზე, რომელმაც დაასამარა მათი დიდება. „წარსულთა დროთა, დიდების დროთა, ყოველი კეთილი თანა წარიღესო“ ამბობს გ. ორბელიანი. ვ. ორბელიანი აღშფოთებული კითხულობს—თუ ქვეყანაზე ღმერთი არსებობს, საქართველო ასე მწარედ რისთვის დაემხოო“. პოეტს აღარ უნდა გაიგონოს წარსულის ამბავი „რაც არს აღარა, რაც თვალთ წინა გვაქვს, გულსაკლავად ისიცა კმარა“. მიუხედავად ამისა ჩვენი სახელოვანი პოეტები საიმპერატორო რუსეთის მთავრობას ერთგულებით და ნდობით უცქერიან.

ბარათაშვილში ღრმადა სჩქეფს პატრიოტული გრძნობა. მან იცის, რომ ერისთვის არ არის რა უბედურება, თუ აქვს ჰერ ქვეშ თავისუფლება. „რა ხელს ყრის პატივს ნაზი ბულბული, გალიაშია დატყვევებული?“—მაგრამ იგივე ბარათაშვილი ქართველთ მოუწოდებს მთიელებთან ბრძოლისათვის და ურჩევს მათ: „იმპერატორსა ემსხვერპლეთ, ვაი დამართეთ წარმართთაო“.

რა თქმა უნდა, ეს პოეტები სხვაფრივ არიან დიდებულნი და უკვდავნი ქართველი ერისთვის. მაგრამ ეს წინააღმდეგობანი, გამოწვეული ლოიალიზმის და ერთგულების გრძნობით, დამახასიათებელია ქართველთა დამონებულ საუკუნის ვითარებისთვის. ეს არის პოლიტიკური გულუბრყვილობა, რომელსაც გაგება უნდა ისტორიულად და არა გაკიცხვა.

მაშინდელი პუბლიცისტებიც იმავე გეზით დაიარებოდნენ. მათი აზრით მტერი ველარ ბედავს ჩვენს შეწუხებას, „ვინაიდან გვიცავს უძლიერესი ორთავიანი ბედნიერი არწივი ჩრდილოეთისა“, უმაღლესი მთავრობა გვაძლევს ყოველსავე შემწეობას და არაფერს ზოგავს ჩვენი კეთილმდგომარეობისათვისო. („ცისკარი“. 1857 წ. 12). ამ გვარად აიწყო ქართველი მოღვაწის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ფსიქოლოგია. კარგი ქვეშევრდომობა მოითხოვს ყოველგვარ შემწეობას ჩვენის კეთილ-მდგომარეობისათვის. ყოველგვარი შემწეობა ჩვენი კეთილმდგომარეობისათვის მოითხოვს კარგს ქვეშევრდომობას,—ასეთი იყო ურთიერთშორის ვითამ ნაგულისხმევი და განდობილი ფორმულა უფლება-ვალდებულებათა. დღეს ყველამ ვიცით, ვინ ტყუვდებოდა აქ, რომელი მხარე იგებდა და რომელი აგებდა. მაგრამ მაშინ და კაი ხანს შემდეგაც ჩვენი მამულიშვილური გულუბრყვილება უგზოუკვლოდ დაიარებოდა პოლიტიკურ ოღრო-ჩოღროებში და ხშირად ქვეშევრდომულ ნდობასა და ერთგულებას ამჟღავნებდა თვითპყრობელურ მთავრობისადმი, რომელსაც სამაგიეროდ ერთხელაც არ გახსენებია თავის ქვეშევრდომთა კეთილმდგომარეობისათვის ზრუნვა.

მაშინ დაიბადა ის უხამსი აზრი, რომელიც სხვათა შორის მეოთხმოცე წლებში ცნობილმა [illegible] გამოთქვა ქართველების პატარა პატრიოტიზმის და დიდი კეთილგანწყობილების დასახასიათებლათ.

„თუ პოლონელს არ შეუძლიან იყოს საიმედო ქვეშევრდომი, როცა იგი ნამდვილი პოლონელია, პირიქით, ქართველი კარგი რუსის ქვეშევრდომი მაშინ იქნება, როცა იგი ნამდვლი და ჭეშმარიტი ქართველია“.

ეროვნული თავმოყვარეობისათვის ამაზე უფრო შეურაცხმყოფელი სიტყვა ძნელად წარმოსადგენია.

ამას გვეუბნებოდენ მაშინ, როცა ყოველი გზა ნამდვილი და ჭეშმარიტი ქართველობის წარმოსაშობად შეკრული იყო, სამაგიეროთ ყოველნაირი ზომა იყო მიღებული იმისთვის, რომ კარგი ქვეშევრდომები ყოლოდათ ჩვენს შორის. პოლონელებს გვიპირდაპირებდენ მაშინ, როცა ისინი მედგრად იბრძოდენ თავის ნაციონალური თვითგამორკვევისათვის, ხოლო ჩვენ ჯერ კიდევ პოლიტიკურ-ეროვნულათ საღათას ძილს მივცემოდით და ნებსით თუ უნებლიეთ სულ მცირედი რამით ვიკმაყოფილებდით თავს...

პანი.

## ბაჩანასთან

მოგონება ბაჩანაზე შეადგენს ჩემი ცხოვრების რვეულის ერთ საუკეთესო ფურცელს. დღიდან მასთან გაცნობისა მე პირველად ვსცან მთის საიდუმლოებანი და ვეზიარე ყველა მის სიამეთა...

ბაჩანას პირველად გავეცანი ათას ცხრაასიან წლებში, როდესაც მის მაგივრად დამნიშნეს მასწავლებლად ხევსურეთში.

ბაჩანა, მე როგორც ქალაქელ კაცს, ბარის საზღვრებს ჯერ არ გაცილებულს, წარმოდგენილი მყავდა, როგორც პიჯაკ გალსტუხში გამოწყობილი ქალაქურ ადათზე, მაგრამ მოვტყუვდი. მე მომეგება უბრალო ჩოხაახალუხიანი, ტყავის ქულაჯაში გახვეული, მომცრო ტანის კაცი—შიშველი თავით, რომელსაც უმშვენებდა მაღლა აყრილი ალაგ-ალაგ შევერცხლილი თმები. მე უცბად დამატყვევა ამ ადამიანის თვალებმა, ცეცხლის მფრქვევ მთის არწივისებურმა.

—მობრძანდით, შესჭექა თავის არა ჩვეულებრივ მედიდურ და მედგარი ხმით, და მიმიპატიჟა სახლში.

—ადამიანო, გასძახა თვის მეუღლეს, აბა გამოგვხედე, გაეცან ჩვენს ახლად დანიშნულ ხევსურების მასწავლებელს. გავეცან პირველათ ფშაურ ტანთსამოსში მანდილ და ტყავის ჯუბაში გამოწყობილ ბაჩანას მეუღლეს. ცოტა ხნის მუსაიფის შემდეგ გაიღო კარი და ოთახში შემოვიდა მძიმე ნაბიჯით ნაბადში გახვეული წარმოსადეგი ვაჟკაცი ქოჩრიან მამლით ხელში.

—აა, ვინც მოვიდა გაუმარჯოს, წამოიძახა ბაჩანამ და გაგვაცნო ერთმანეთი: ეს არის ჩემი ძმა ვაჟა, ესეც ჩვენი მასწავლებელი—ხევსურეთისა, ჩვენში ახლად დანიშნული. მე ცას დავეწიე ვაჟას ხილვით და ფიცხელ ფეხზე წამოვიჭერ ძვირფას სტუმრის მისასალმებლად.

—აი, ჩემო ძმაო ნიკო (ბაჩანას სახელი) ეს მამალი მოგართვი, ძალიან ძილს მიფთხობს, და რაც გინდა ის უყავ, იოხუნჯა ვაჟამ დარბაისლურ მძიმე ხმით და მოიხსნა ნაბადი წელიდან.

მალე გაიშალა გრძელ ხალიჩიან ტახტზე ლურჯი სუფრა და ჩვენც ტახტზე შემოკეცილნი ჩამოვმწკრივდით სუფრის გარშემო და გეახლებოდით ვაჟას მორთმეულ ჭირვეულ მამლაყინწას.

შუა ღამე ისე წამოგვეპარა, რომ ვერც კი გავიგე იმდენად გატაცებული ვიყავ ყველა იმ მუსაიფ-მასლაათით, რაც იმ ორმა მთის არწივმა მიამბეს და გადმომცეს საზოგადოდ მთის და კერძოდ ხევსურეთის ადათჩვეულებებზე, როგორც ახლად მისულ ბარელ კაცს. მე სულ დამავიწყდა ქალაქის ამბები და ჩემთვის სულ ახალი ცისკიდურები გადიშალა თოვლიან ყინულიან სამყაროისა. მე მათ ნაამბობის და დარიგების შემდეგ პირველად ამეხილა თვალები ჩემს მომავალ მუშაობის შესახებ და თავდავიწყებულს რაღაც მოწიწების და კრძალვა რიდის ჟრუანტელი მივლიდა მთელ სხეულში ამ ორ დიად ბუმბერაზის წინაშე და განვიცდიდი რაღაც ზიზღს ქალაქებისადმი და თავში მარტო მიტრიალებდა ვაჟას „ბახტრიონის“ ერთი ტაეპი.

„რა მმართებს ქალაქებისა,
„ხშირ ხშირად მომაგონდება
„ფასი იმ ალაგებისა...

და მართლაც ის დრო, რაც კი მე გავატარე ხევსურეთში და ის ნაამბობ-გადმოცემული ხევსურებისა ბაჩანაზე, როგორც არამც თუ უბრალო მასწავლებელზე არამედ, როგორც დიად პიროვნებაზე, დღეს როდესაც ეს პიროვნება, როგორც მიღებულ ცნობებით ვიცით, აჩრდილსა და ლანდს დამსგავსებია, მართლაც მოსაგონებელია და ალსანუსხავი ფართე საზოგადოების საგულისხმოდ.

მე არ მსურს ეს მოგონებანი შეეხნენ ბაჩანას, როგორც მგოსანს, ეს ყველასათვის ცხადია. მე მსურს შევეხო იმ მოგონებებს, რომელიც ბაჩანას სახელთანაა დაკავშირებული როგორც მასწავლებლობის ასპარეზზე 37 წელზე მეტ მოღვაწესთან.

იმ ხნიდან ბაჩანამ ხევსურეთში იმოღვაწა 10 წლის განმავლობაში. დანარჩენი ფშავში, თუშეთსა და მთიულეთში. ვისაც კი უმწვნევია ხევსურეთის მკაცრი ბუნების ყველა სიამენი“, ვინც კი გასცნობია საზოგადოთ მთიელთა და კერძოდ ხევსურების ხევის ბერ-დეკანოზების მქადაგებლობის და ზედგავლენის ქსელში გახვეულ მთიელთა ფსიხიკას, ის ადვილად დამეთანხმება, რომ მხოლოდ ბაჩანასთანა სალი კლდის ბუნებას შეეძლო ასეთ მოწამებრივ ჯვრის ზიდვა და ასეთ მოციქულებრივი მისსიის წარმოება იმნაირ კუთხეში, როგორც ხევსურეთია და თვითეული ათი წელი საუკუნოებში უნდა ჩაეთვალოს მას.

ბაჩანა რომ პირველად დანიშნეს ხევსურეთში, ხევსურების ხევის ბერდეკანოზების მიერ ისეთი იერიშები ყოფილა მატანილი სკოლაზე, რომ არც ერთ ბალღს არ აგზავნიდენ სკოლაში, ვინაიდან მასში ეს ხევის ბერნი ხედავდენ თავიანთ ზედგავლენის ფრთების შეკვეცას ხალხში და თავიანთ პრესტიჟის დაცემას.

და მართლაც რა ჯოჯოხეთური მუშაობა უნდა ეწარმოებია ბაჩანას, რომ ეძლია ყველა ეს დაბრკოლებანი, მოენადირებია ხევსურთა გული სკოლის სასარგებლოდ.

მაგრამ მან, როგორც არა ჩვეულებრივ ბუნების ადამიანმა, ისე უმტკივნეულოდ მოახდინა ეს ოპერაცია, რომ მალე არამც თუ ბალღებით გაიჭედა სოფ. ბარისახოს სკოლა ხევსურეთში, არამედ მათ მამებმაც და ხნიერ მთის არწივებმაც კი დაიწყეს დენა სკოლისაკენ და მტკიცე კავშირით შეეკრენ ამ გონებრივ ქურას, ასე ბრწყინვალედ გაჩაღებულს ბაჩანას მადლიან ხელით. ვინაიდან ხევსურები ბაჩანას შექმნილ სკოლაში არ ხედავდნენ იმ სულის შემხუთავ ფორმალიზმით კანცელარულ დაწესებულებას საცა არა ჰქნებოდა და არ კვდებოდა თავისუფლების მოყვარულ მთიელთა თავისუფალი სული.

ბაჩანამ ისე ოსტატურათ შეაგუა სკოლის წმინდა პრინციპები სწავლააღზრდისა ხევსურთა წმინდა ხელშეუხებელ ადათ ზნე-ჩვეულებებს, რომ თვით დიდი პროტესტანტებიც სკოლისა—ხევის ბერ-დეკანოზნი—განაცვიფრა და სკოლის მეგობრად გარდაქმნა. მართალია ასეთ გარდაქმნას მან შეალია მთელი თავისი ახალგაზრდული ენერგია, მართალია მან თავის თავსა და ღარიბ ოჯახს არა შესძინა რა თვალსაჩენი, მაგრამ მან მორალური ხელთუქმნელი სასყიდელი მიიძლვნა. დასტოვა წამოსვლის დროს აცრემლებული ხალხის გული, დასტოვი მათში უკვდავი სახელი და დღესაც არ არის ისეთი ხევსური, რომ არ იგონებდეს მოწიწებით ბაჩანას სახელს.

და ასე ამ გვარად ასეთი გვირგვინი მიიძლვნა მან ყველგან, საცა კი მას თავისი მადლიანი სული შთაუბერავს ამ წმინდა საქმისათვის, იყოს ის ფშავეთი, ეს მისი დამრწევი აკვანი სამშობლო, თუშეთი, ეს მეორე ნატეხი მისი სულისა, მთიულეთი, ესეც სისხლი და ხორცი მის მთიელ გულისა...

და დღეს ეს ბუმბერაზი, დადაფნილი მთიელთა ხალხის მადლობით, მიჯაჭული სარეცელთან, ვით ბრძოლა მოხდილი გმირი, განიცდის მძიმე ჭრილობათა მწვავე ტკივილებს და უნდო ცხოვრების უმადლო გაჭირვების სასტიკ მუხრუჭს თავისი ჯალაბობით.

რა საჭიროა მაშ ბაჩანაზე ყიჟინი შველის ხმაზე? რათ ეკადრება ამაყ მთის არწივს ცრემლები შებრალებისა? რათ მოგიხრით ქედს თქვენ თვის ბახლებს დიდი ფრთოსანი, რომელმაც წვითა და დაგვით 37 წელი გაფარათ კალთები? ვისაც აქვს ყურნი სმენად დე ისმინონ!.. ვისაც უძგერთ ჯერ კიდევ გულნი საგრძნობლად—დეე გაიგონ!

დავით. პავლიაშვილი.

## ახალი წიგნები

### რენე მარან—„ბატუალა“

ამ ნაწარმოებს აქებენ. იყო მისი ქება რუსულ ბიბლიოგრაფიულ შენიშვნებში, იყო ქართულშიაც. არ შემიძლია გავიზიარო ასეთი დაფასება. ვერაფერს ვხედავ აქ ისეთს. ვერ ვხედავ ვერც ე. წ. „წყეულ“ კითხვებს, ვერც მკაფიო სახეებს.

ავტორი ცდილობს ჩაგვახედოს იმ საშინელ უფსკრულში, რომლითაც გაპობილია ორი ქვეყანა—თეთრების და შავების. მაგრამ უბრალო, ქრონიკალური ხასიათის ცნობებიდან მეტი წარმოდგენა გვაქვს ამ უფსკრულზე, ვიდრე გვაძლევს ეს მხატვრული ნაწარმოები.

საგნათ აღებულია ზანგების ცხოვრება. ეს შავი ქვეყანა დაპირდაპირებულია თეთრ ევროპასთან. ეს ბრალდებითი ოქმია ევროპიის ცივილიზაციისადმი—ოქმი სუსტი შინაარსით და მკრთალი მხატვრული გამომეტყველებით.

თანამედროვე ცივილიზაცია მიჯაჭვულია სამარცხვინო ბოძთან დასავლეთ ევროპის და რუსულ მწერლობაში. აქ დიდი ხანია მოცემულია „კვაზიმოდო ამ ცივილიზაციის.“ ეს მახინჯი სახე, უკვდავ ბრალმდებლათ დგას თეთრი ქვეყნიერების წინაშე. ასეთია, ვიმეორებ, მთელი ევროპის მწერლობა მას აქეთ, რაც არსებობს ევროპის ცივილიზაცია.

ზანგების ქვეყანა, ეს ახალი საბრალმდებლო მასალაა. და საჭირო იყო ვ. ჰიუგოს, ან ლ. ტოლსტოის ძლიერება, რომ მხატვრული სისხლხორცი შესხმოდა ამ მასალას. „ბატუალა“-ს ავტორმა კი ეს ვერ შესძლო ვერც საშუალოთ.

თეთრების ქვეყნიერება ძალმომრეობს შავების ქვეყნიერებაში, ევროპის კულტურა ანადგურებს აზიის კულტურას. ეს არის საუკუნოების ამბავი. ეს ახალი წიგნი ალაპარაკებს თითონ ხალხს მისი გამანადგურებელი თეთრი ცივილიზაციის წინაალმდეგ, ჩვენ გვართმევენ ზნეჩვეულებას, მიაქვთ ჩვენი სიმდიდრე, თვითონ არა მოაქვთ რა, ჩვენთვის არის მძიმე შრომა, მათთვის განცხრომა, სიკვდილშია ბედნიერება ჩვენთვის, თეთრები მაინც არ გაგვყვებიან საიქიოსო... ამბობს ხალხი. ავტორი წინ გვიშლის ამ ხალხის ზნეჩვეულებას. ეს ისეთი სურათია, რომ მკითხველის გულში არ გაიღვიძებს თეთრი ცივილიზაციის უარმყოფელი გრძნობა. არ არის ამ სურათში ის სილამაზე, რომლის განადგურებისთვისაც საყვედური უნდა ეგზავნებოდეს ევროპის კულტურას. პირიქით, აქ არის გაშიშვლებული სისაძაგლე. ძნელი გასაგებია, რათ დასჭირდა ავტორს ასეთი გაშიშვლება, ასეთი დანახვება იმისი, რომ ადამიანი არ გაირჩევა პირუტყვისაგან. ხალხის დღესასწაული, რაღაც მხეცური გამოხატვა სულიერი განწყობილების, ცეკვა... მეტადრე „სიყვარულის ცეკვა“ არ ვიცი რომელი ესთეტიური გემოვნებით შეიძლება გამართლება ისე გადმოცემულ სინამდვილის, როგორც აქ არის გადმოცემული. ნუ თუ ახალი შემოქმედების გზაა ხელოვნებაში ამნაირი სურათების გამოფენა? მაგალითების მოყვანაც კი მეძნელება იმდენათ უჩვეულოა ეს ჩვენი გემოვნებისთვის.

არის იმ ქვეყნიერებაში მშვენიერება, ჩვენ შეგვიხედავს ამ მშვენიერებისთვის სხვა მხატვრულ ნაწერებში. ავტორის კალამს ეტყობა, რომ შეეძლო დაენახვებია ჩვენთვის ახალი, მიმზიდველი კუნჭულები, და მკითხველი იტყოდა, — რა ველურობაა ევროპის ცივილიზაციის, რომელიც ასე ანადგურებს მშვენიერების სამეფოსო. ამ წიგნის წამკითხველს არ ეთქმის ეს. არ ეთქმის საყვედური იმ კულტურას, რომელიც ძირიანათ აფორიაქებს პირუტყვულ ზნე-ჩვეულებას.

თითქო ამ ხალხს არ აქვს წინმსვლელობის, განვითარების უნარი, თითქო იმისთვის არის გაჩენილი, რომ თავისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში არ გაირჩეოდეს ოთხფეხი სულდგმულისაგან. ამის მეტს არაფერს არ გვაძლევს ავტორი. ეს წიგნი მიმართულია ევროპის ძალმომრეობის წინაალმდეგ და... მისი დამწერის უნებურად წინაალმდეგ ის ამართლებს ამ ძალმომრეობას.

ალბათ ისეთი დროა, რომ ცულით მუშაობა უფრო აკმაყოფილებს ესთეტიურ გემოვნებას... ცულით მუშაობას ავტორი სინამდვილის გარჩევაში, ნაჭერ-ნაჭერათ გვაძლევს დანახულს, არაფერი არ არის გარდაქმნილი ამ დანახულში, არაფერი არ აქვს გატარებული შემოქმედების ლაბარატორიაში.

ეს მით უფრო საკვირველია და სამწუხარო, რომ ავტორს აქვს ასეთი ლაბარატორია. აქვს აქა-იქ ფერები, ნამდვილი საღებავები. შეეძლო უკეთ ესარგებლებია ამ საშუალებებით, მაგრამ ვიმეორებ, იქნება ის აკმაყოფილებს „ახალი“ მკითხველის გემოვნებას.

ამისი და ამნაირის მეტი რომ არაფერი იყოს თანამედროვე მხატვრულ მწერლობაში, ჩვენ ვიტყოდით, რომ საშინელ კრიზისს განიცეის ეს მწერლობა.

უცნობი.

# პატარა ფელეტონი

## ტერორისტი ქალი

გაათავა საშვალო სასწავლებელი თუ არა ზინამ, იმავე ზაფხულში გადასწყვიტა უმაღლესი სწავლა მიეღო.

მიუხედავათ მშობლების წინაალმდეგობისა, მან ერთ მშვენიერ დილას მშობლებს გამოუცხადა, რომ ტფილისში მიდიოდა, უნივერსიტეტში თხოვნას შეიტანდა და ოთახსაც მოიკვირებდა. ზინას დედის გულის წყრომას საზღვარი არ ქონდა, მაგრამ ახალგაზრდა ასულმა თავისი გაიტანა; გამოეთხოვა მშობლებს, იყიდა ბილეთი, მოთავსდა მატარებელში და ტფილისისკენ გასწია.

კუპეში შემოსულ ხალხს ზინა ცნობის მოყვარეობით ათვალიერებდა და ფიქრობდა: საოცარი ადამიანია დედაჩემი: ქალიშვილის მარტოთ მოგზაურობა საშიშიაო, მაგრამ აგერ ოთხი საათია რაც მივემგზავრები და არავითარი ხიფათი არ შემხვედრია, ან რა უნდა შემემთხვეს?!

მიუხედავათ ასეთი ფიქრისა ზინა მაინც ღელავდა, ღელავდა რადგან ეს იყო პირველი მისი დამოუკიდებელი მგზავრობა.

რვა წელიწადი გაატარა მან მშობლების მფარველობის ქვეშ, და მხოლოთ დღეს იგრძნო ნამდვილი თავისუფლება.

ეს მატარებელი მას თითქოს ახალი, დამოუკიდებელი ცხოვრებისკენ მიაქანებდა.

სიამოვნებით ათვალიერებდა ზინა მატარებლიდგან გურიის მთებს და იმერეთის აბიბინებულ ჭალებს.

ბოლოს მატარებელი რიონის სადგურზე შეჩერდა.

რამოდენიმე წუთის შემდეგ კუპეში შემოვიდა ვიღაც ძალზე აჭალარებული კაცი, მაღალი, დარდიმანდი. ეს უცნობი გახლდათ თავადი გიორგი. ის დიდი დონ-ჟუანი იყო. როდესაც მან კუპეში შავ-თვალწარბა ლამაზ და ქორფა გოგონას თვალი მოკრა, ულვაშებზე ხელი გადისვა და შეაჩერდა, შემდეგ ზინას გაეცნო და ჩვეულებრივი სითამამით გამოკითხა თუ ვინ იყო და სად მიდიოდა.

ამ კითხვებზე ზინა მოკლეთ უპასუხებდა

პეტროგრადში დიდი ხნის ნამყოფი, ქალის გულის კარგათ მცოდნე, თავისი გარეგნობის მოიმედე თავადმა გიორგიმ ზინას არშიყობა დაუწყო. მოუყვა მან პეტროგრადის ამბები, აუწერა ნევის პროსპექტის მშვენიერება, ოპერების სილამაზე და უძილო ღამეების სიტკბოება.

ზინა მას ყურადღებით უსმენდა. გიორგიმ ხილი იყიდა და ზინას შესთავაზა.

ხაშურის სადგურზე გიორგიმ ზინა სადილათ მიიწვია. ქალს სურდა უარის თქმა, მაგრამ ვერ მოახერხა და დასთანხმდა. ზინამ სადილის ფულის გადახდა მოინდომა, მაგრამ მოხერხებულ გიორგის ფული ადრე გადაეხადა.

შეწუხდა ზინა, მაგრამ არ იცოდა როგორ მოქცეულიყო, გიორგისთან ყოფნა არ უნდოდა, მაგრამ ვერ შორდებოდა, რცხვენოდა.

ბინდდებოდა და ტფილისი კი ჯერ შორს იყო. გიორგი ზინას თანდათან უახლოვდებოდა. მის სიტყვებსა და ანეგდოტებს ახალგაზრდა ასული მოთმინებიდან გამოყავდა.

გიორგი იმდენათ გათამამდა, რომ ზინა შიშმა აიტანა. მან იგრძნო, რომ გიორგი როგორმე უნდა ჩამოეშორებია და ხერხიც მალე მონახა.

უცბათ გიორგის მოუბრუნდა და უთხრა: იცით თავადო, რომ ერთხელ მე ტერორისტკა ვიყავი...

— როგორ? განცვიფრებით იკითხა გიორგიმ.

— დიახ, ტერორისტების წრეში ჩავეწერე და დიდხანს ვმუშაობდი...

— ეგ შეუძლებელია!..

— რატომ არ გჯერათ... განა ქალი რომ ვარ, იმისთვის... ყველაფერს გეტყვით... მე ციხეშიც ვარ ნამყოფი...

— ეგ შეუძლებელია — წამოიძახა გიორგიმ და ადგილიდან წამოიწია, ნიშნათ უსაზღვრო გაკვირვებისა...

— არ მოელოდით, თავადო, არა?

— სწორეთ, რომ დაუჯერებელია, თქვენისთანა უმწიკვლო პიროვნება...

— მაშ ყური დამიგდეთ. ზინა გათამამდა და მოიგონა რაც გაეგონა ან ამოეკითხა ციხის ცხოვრებიდან: ვიკტორ ჰიუგოს რომანი „უკანასკნელი დღე დასჯილისა“, დოსტოევსკის „მკვდარი სახლიდან“, დოროშევიჩის სახალინიდან და ისეთი დეტალები გადმოუფინა გიორგის, რომ მას ცივი წყალი გადაასხა.

გიორგი თავის გემოვნებაში შეურაცყოფილად გრძნობდა თავს. მისი აზნაურული გემოვნება აღელვებული იყო.

— ეს რა ოხერს ვინმეს გადავეკიდე შენი ჭირიმე, გავარდნილია ვიღაცა... ფიქრობდა გიორგი.

ზინამ სიცრუეს უმატა.

გიორგი დაღლილი იყო, დაქანცული, ეს მან მხოლოდ ეხლა იგრძნო.

— ჩვენ ყაზახები შემოგვესიენ, როდესაც ტყეში ვიყავით, დაგვამათრახეს და ციხეში მიგვაბრძანეს. რა კარგია, თავადო, ციხეში ყოფნა!.. ჩვენ ერთმანეთს კედლიდან ველაპარაკებოდით დარაკუნებით, ჩვენ ჩვენი გამგეობა გვყავდა, სასამართლო...

გიორგი თვალებს ძლივს ალებდა...

ზინამ ისარგებლა იმით, რომ გიორგიმ დაამთქნარა და ხალისიანათ შესთავაზა:

— ბატონო გიორგი, ჯერ ტფილისამდე შორსა ვართ, აბრძანდით საწოლზე და მოისვენეთ.

გიორგიმ ჯერ იყოყმანა, მაგრამ შემდეგ ზინას რჩევა მიიღო და მაღლა ავიდა.

ყურ ბალიშზე თავის მიდება და ხვრინვის ამოშვება ერთი იყო.

ზინა სიხარულით კუპეს კედელს მიეკრა და თავისი ხერხით მოპოებულ თავისუფლებით სტკბებოდა...

ჯ. ჯორჯიკია.

## დეციმა

ცრემლი... არა, სისხლი მდის!..
ტვინი კვნესის, გული ჰგოდებს,
სევდა აყრის მათ რუხ ლოდებს,
ცივად მოსთქვამს სიო მთის...
ცაზე მხოლოდ ლამე კრთის.
ვეძებ სასვენს მიწის მკერდზე;
ვფიქრობ მძიმედ ერთად ერთზე:
მოკვდა მთვარე! მოკვდა მზე!
გვირგვინს ამკობს ძვალთა ბზე...
და ამ გვირგვინს ვხედავ ღმერთზე!..

ქ. მაყაშვილი.

## საშა ალექსიძეს

და მოულოდნელ სიყვარულით მუდამ აღსავსე,
წარსულის ხილვა ჩემს ლექსებში გაგეხარდება.
მაცდურ ღიმილით შენი ბედი ბევრჯერ დავნავსე—
მაგრამ გულწრფელად ყოველივე დაიფარდება.

იყავ სტუდენტი მგრძნობიერი, მე კი ნინველა,
სურვილს ვანთებდი შეუგნებლად შენში მარადღეს,
და თუმც დასწყევლე ჩემს გარეშე სხვა ქალი ყველა,
მაინც ეძებდი, ვით არაბი, ფერად სმარაგდებს.

ცოდვილ სიზმრებში შეიხიზნე ვნების ბარაქა,
ვშიშობდი მარტო რომ გრძნობისთვის ფიქრს არ დაესწრო,
ჩემშიც შეიჭრა სითამამე ზღაპრულ არაკად
და მოწაფიდან გარდავიქმენ ვნების მაესტროდ.

მიჰქრიან წლები ღალატობით გადატვირთული,
ჩემს ლამაზ ტანჯვას მხოლოდ ლექსი გაიმეორებს,
ახ, ბევრი იყო ჩვენს განცდებში მომენტი რთული
და იჭვის ღმერთი ამეფებდა სიტყვის ტერრორებს.

მაგრამ ძარღვებში ძველი სისხლი ვერ გადაგვარდა,
მინდა ამაყად მეც ვატარო თეთრი მანდილი.
და, როს არავინ მომინდება, სიკვდილის გარდა,
მწამს: საიდუმლოს შემინახავ ვით ავთანდილი.

ბევრჯერ მომაკვდავს სამკურნალოდ მომეცი ხელი,
ბევრჯერ მიგრძვნია შენს თვალებში სიცოცხლის ხილვა;
უკანასკნელად აღმომხდება შენი სახელი
და შენს მკლავებზე მე მოვკვდები ვით კარმენ სილვა.

მარიჯან.

# „შენგან გვაჩნია გულმბსა ზაზი!“

## ბესიკის პორტრეტისათვის.

*

უცნაურია ამ სიყვარულის ისტორია გრძელი, დაუსრულებელი, ვიდრე ორივე არ ჩაიფერფლა სრულად მის ალში, — მაგრამ მოკლე და მარტივი დღეის სიცხადისათვის.

ამიტომ შეიძლება, ბესიკის თქმანი დღეს მრავალჯერ განმეორებად მივიჩნიოთ: აქ ერთია მთელ შემოქმედების მოტივი — ამაყ სატრფოსაგან უნებლიე დაშორება — მისგან განწირულის აღარ შეწყნარება, მაგრამ მთელი ეს ხაზი, ულეველი გზა არის, გიჟურის შეყვარებით „ბრძოლისა“, არის ლამაზის ცრემლების ერთად აკინძვა, წმინდა წყაროს არხი. ბესიკის სიყვარული რელიგიურია, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ეს რელიგია არსებითად ამ ქვეყნიურია — უკვდავების გრძნობა მომაკვდავთა არსშია ჩანათესი. იმ მიმგვანებით, რომ ობიექტი რელიგიისა ხელსახები, მისაწდომი არ არის და ვერც გახდება. ეს არის ნამდვილი რელიგია რომელიც კოსმიურს უახლოვდება, რელიგია განხორციელებისათვის — ინკვიზიციად იქცევა მუდამ, ისტორიამ ცხადად ასახა ეს საშუალო საუკუნოებში, რელიგია სიყვარულისა მარტო მის განხორციელებისათვის ტლანქ სექსუალიზმის გაბატონებაა, რაც ცხადად მოდერნიზმის ლიტერატურაში გარდაიშალა, ასე ტრაფარეტად და უსულოდ აქცევს რელიგიას სინამდვილესთან ნათესაობა — მასში გარდასვლა, აქ რელიგია კვდება. ამიტომ არსებითად რელიგიურად განწყობილ ბესიკის „ბრძოლა“ სიყვარულისთვის, არ შეიძლება ჩვეულ ბრძოლად დაიყვანოთ...

ის მოკლებულია ბრძოლის მთავარ თვისებას — აქტუალობას, რომელსაც რაციონალიზმი ჰფენს შუქს, მიღწევის წადილი ამოძრავებს. ბესიკის ბრძოლა უფრო რელიგიურია, არა აქტუალური, არც რაციონალური, მაგრამ ვნებით აღვსილი, ექსტაზით განაყონი, ამიტომ ეს ბრძოლა ბუნებრივად ლოცვაში გადადის, მის ბრძოლას, აღშფოთებას, იჭვებს და შეურიგებლობას თან ახლავს იდუმალი უშედეგობა და ლოცვა იგი მუდამ თავდება დამცხრალის შენანიებით: წმიდა იყავნ სახელი შენი, იყავნ ნება შენი!.. მაგრამ ბესიკის ამ მთავარ პრობლემაზე კიდევ ვიტყვით ქვევით... მე ვებრძვი გაბატონებულ აზრს ბესიკის ერთფეროვანობის შესახებ. ეს ერთფეროვანობა არ შეიძლება ტრაფარეტულად ამოიწუროს — ის რელიგიური სიმტკიცეა, ის წყაროს წმინდა დენაა და ვის მობეზრებია ამ არხის დაუსრულებლობა, წყაროს თვალის „ერთჰანგოვანი“ რაკრაკი? ყოველშემთხვევაში მას არასოდეს, — ვინც წყაროს ძალა განიცადა დიდის წყურვილის შემდეგ. და პოეტი მარტო სიყვარულით სცოცხლობდა, მისი მგოსანი იყო და სხვა მოტივი მას არ ეკარებოდა, ან თუ სხვა სიმღერაც გვსმენია მისი თარიისა, ჩვენ ვივიწყებთ მას, იმიტომ რომ მასაც არ ენათესავა ეს ისე ახლოს.

და ბესიკის მთელ ნაწერებს ჰფარავს მარტო ანას მისტიური სახე — ისე როგორც მგოსნის უეცარის სიკვდილის საიდუმლოება დაჰფარა მან. გაცვეთილია და უაზრო დღეს ძველი თქმა „კუბოს კარამდე“... მაგრამ ბესიკისათვის ის სარწმუნოება იყო და ის უსაყვედუროდ და ცრემლებით ეზიდებოდა სიყვარულის მძიმე ჯვარს კუბოს კარამდე...

და სიკვდილის წინ, გარდახვეწილი შორეულს ჩრდილოეთს, ბესიკი წუთითაც არ განშორებია სატრფოს, რომელიც ჩვეულად ულმობელია, მაგრამ პოეტის მიერ გაღმერთებული. აი, კიდევ ამ დროის თქმა, ანას პატარა პორტრეტი:

„მოგვშორდი სულსა, ალნაგ-შემკულსა,
ბრძენ განკაზმულსა, ანდამატ გულსა,
ჩემთვის მოსულსა, გონება სრულსა!“

აი, ეს არის ბესიკის პოეზიის, მისი სიყვარულის ძალა, რომ მან მიაგნო სულს, რომელიც მისებრ ზვიადია, დიდი და — სწორედ მისთვის იყო „მოსული“, მაგრამ მას ვეროდეს ვერ ესხეულა, იგი მუდამ ობლად იყო ამ სულის მონათესავესთან... და ასევე ობლად დალია დღენი შორს, კრემენჩუგს „ფერნამკრთალებმა“ მგოსანმა. მას აღდგომა კვლავ აღარ უხილავს, ის ამას გრძნობდა:

„ჰაერი ცივ-ნამიანი ჩემთვის აღარა დღიანი,
მას ვშორავ გულ-სევდიანი, ვის მოლოდნა მაქვს გვიანი!
ქუფრ-ხვევით, თვალ-ცრემლიანი, აღარა სადა ხმიანი,
თავმოხრით ვნახე იანი, სხივნი ჰკლებოდენ მზიანი!

მას მუდამ მზე აკლდა, აღარ უნახავს გაცინებით ბუნება, რადგან გული სატრფომ გადაირაზა. და ვედრებით, სიყვარულზე ლოცვით დაქანცული პოეტი ველარ გამობრუნდა სიცოცხლისათვის; მან სხვა მიზანი არ იცოდა, მას სხვა მოტივი არ ესმოდა...

*

ყველა იმ სისტემებიდან, კლასიფიკაციებიდან, რაც დღემდის ჰენსია დამსახურებულია, მაგრამ არ განდევნილი პოეზიის კრიტიკიდან მე მარტო ერთს ვიღებ: მგოსნის შემოქმედების გარდატეხა — მისი ერთის ჰარბის მოტივიდან მეორეში გარდასვლა, სულ ერთია: რა სახის იქმნება ამის მიზეზები: ობიექტიურის, თუ წმინდა სუბიექტიურ-ინდვიდუალისტურის... და ამ გარდატეხილ ხაზებში თქვენ შეხვდებით ერთს, საცა მთელი ესთეტიური ძლიერება შემოქმედისა სრულად იხსნება: ერთი მოტივი ღრმად ჩასწვდება მის შემოქმედებით პოტენციას და მთელს მის ინდივიდუალობას ხმებში და მუსიკაში გამოიტანს, აი, მაშინ ვიტყვით, რომ მგოსანმა თავისი სახე გამოაჩინა, ავტოპორტრეტი მოგვცა. არიან, რომელთაც ეს გადატეხა არ უგრძვნიათ და მუდამ შაბლონით ვიდოდენ, მათ შემოქმედების ინტიმობა თან ჩაიტანეს საფლავს. ესენი არიან უბედო მწერალნი. სხვა, სქოლასტიური დაყოფა მიუღებელია დღეის ესთეტიურ კრიტიკისათვის, მაგრამ მას გვერდს ვერ აუხვევს ლიტერატურის ისტორიკოსი, რომელმაც ეპოქები რგოლებად უნდა შეჰკრას, პროგმატიზმით იხელმძღვანელოს და ძეწკვად — ისტორიად — ააგოს ეს რგოლები. ეს თქვენ შეგასწავლით — ვის რა ადგილი უჭირავს, მაგრამ ვერ შეგაყვარებთ მწერალს; და მის ინტიმობას, რამბას, რაც კლასიფიკაციის უჯრედებს სცილდება, ვერ დაგანახვებთ. კრიტიკაში მარტო ამ სახით შესწავლილი მგოსანი უბედოა; მან ვერ გაჩვენათ ნამდვილი სახე, იგი მარტო ერთ რგოლად იქცა გრძელის ჯაჭვისა და მისი ორიგინალობის კუთხეები, სტიქია, გადაქლიბულია ისტორიკოსის მიერ — წესიერად ჩალაგებულია უჯრედებში. ჩვენში ჯერ კიდევ გამეფებულია კრიტიკის და ესთეტიურ ანალიზის ნაცვლად კლასიკურ ტიპის ლიტერატურის ისტორია, უფრო დილეტანტური, ვიდრე აკადემიური... — რომანტიზმი, ნატურალიზმი, რეალიზმი... და ცვლილება მარტო იმაშია, რომ დღეს მრავალ კითხვითი ნიშნეპისათვის ჩვენს პოეზიაში, ახალ, უცხო მოტივებისათვის გამოგონილია ახალი უჯრედები... მაინც უჯრედები, ყუთები, რომელთაც მარტო სახელი აქვთ ახალი: ნეორომანტიზმი, ექსპრესსიონიზმი, ფუტურიზმი და სხვა. და თანამედროვე კრიტიკა (თუ კი ასეთი არსებობს ჩვენში): სცდილა ყოველი ახალი თქმა, ახალ მოვლენის და გაქანების მგოსანი ამ ახალ უჯრედებში ჩასჭედოს: გრიშაშვილი, ფაშალიშვილი, გამსახურდია, მარიჯან — ეს ნეორომანტიზმია; იაშვილი, გაფრინდაშვილი, რობაქიძე, ტაბიძე — ეს იმპრესიონიზმია, ფუტურიზმი, ყოველშემთხვევაში, მოდერნიზმი, აბაშელი, რუხაძე, ქუჩიშვილი, ობოლი მუშა — რეალიზმია, თუმცა აბაშელი და გ. ტაბიძე კარგად ვერ ჰყავთ ჩაჭედილნი ამ უჯრედში... შეიძლება ყველა ეს ჯერ ისე გარკვევით არ დაწერილა, მაგრამ ასეთი ტენდენცია ვიცი — მეტად აწვალებს ჩვენს კრიტიკას: ეს შაბლონია, ათასჯერ გადათელილი. და რა დააკლდება ამ გზას კიდევ ერთხელ თუ გადითელება ჩვენის კრიტიკით?..

მაგრამ ჩვენს პოეზიას კი ბევრი დააკლდება, — მას სული წაერთმევა, ინდივიდუალობა მოეშლება, მის ესთეტიურ რამბას არამკითხენი კიდევ ერთ ხავსს გადააკრავენ, ყოველი ნამდვილი მგოსნის ძალა მის ინდივიდუალ მელოდიაშია; სწორედ იმაში, რასაც „ქლიბვის“ დროს ჩვენი კრიტიკა ნახვეტს გააყოლებს.

ამ ამოძახილს მიდგომა უნდა ესთეტიურის ალგზნებით — მას მეორე შემოქმედი-ხელოვანი სჭირია ცხად ნოტებზე გადასატანად... და ტყუილად ჰგონიათ ჩვენში, რომ კრიტიკოსი ღრმა გალოშებით, ქოლგით და ყურებში ბამბა დაცული უნდა ვიდოდეს...

*

შორს გადამტყორცნა ამ ტკივილმა, მაგრამ მე მას ვგრძნობ და, შეიძლება, ჩემზე უფრო მწვავედ დღეის მგოსნები განიცდიან. ისინი ჩაჰკვირვებიან ამ უჯრედებში საკუთარ შემოქმედებას და ინტუიციით გრძნობენ, რომ ეს ის არ არის, რომ კრიტიკოსმა გვერდით ჩაუარა მის სულს, მის ინტიმობას — გალოშებით გადათელა მისი ნარგისი და განცვიფრებით მარტო ფონზე შეჩერდა.

ვერ დავმალავ უკეთეს მაგალითს ამ მხრივ: მეც ერთხელ ვიგრძენი ეს ქირურგია, უხეშის ქლიბით ლ ცინიზმით შეხება ჩემის ინტიმობისა: „სოლეილდორს“ „არჩევს“ ჩვენებური ქოლგაგალოშიანი კრიტიკოსი, რომელიც უფრო სინოდალურ კანტორის არქივის გასარჩევად მოიწოდება, მას მართლაც გულწრფელად უკვირს: — რაშია აქ საქმე? რად იტანჯებიან დაუსრულებლად ეს გმირები? „ვაჟსა და ქალსა ურთიერთმანეთი მართლაც უყვართ, ხელის შემშლელი მათის შეუღლებისა არავინაა. მაშ, რად იტანჯებიან და რას აჰიანურებენ აჰა ეკლესია მღვდელი და მორჩა. საქმე სულ ადვილიაო.“ (სიტყვა-სიტყვით არ მახსოვს, მაგრამ მიდგომა პირწავარდნით ამგვარია).

„კრიტიკოსი“-ს ტრაგედია მართლა იმაშია, რომ მას სრულიად გულწრფელად არ ესმის: რაშია საქმე? მისთვის სხვა, ფსიქოლოგიური პრობლემის „დაბრკოლებანი“ არ არის, წინაალმდეგობა თვით სიყვარულში მისთვის უცხოა და მას, ბუნებრივად, მარტო მზითვისაკენ, მშობელთა დალოცვისაკენ და ეპისკოპოსის ნებართვისაკენ აქვს თვალი...

მარტო ეს დაბრკოლებანი გალოშებიანისათვის ცხადი და ხელსახები თუ არსებობენ — დანარჩენი მირაჟია... და „მკვდარია“ არა თუ ჩემის მასშტაბის მხატვარი, არამედ ჰამსუნი, სტრინდბერგი, კელერმანი, როდენბახი... მათ გმირებს პასტორთა მხრივ „დაბრკოლება“ არ უნახავთ.

მე არ მინდა ამ წერილში სუბიექტიური ელემენტი შევიტანო. ის მარტო ბესიკზეა შეწირული და მაპატიოს მან ეს ამბავი, რადგან ვშიშობ გალოშიანი კრიტიკა არ შედგეს მასზე.

ამ მხრივ ბესიკი უბედო არ არის, ეს შეურაცხყოფა ჯერ მისთვის არ მიუყენებიათ; მაგრამ უბედოა ის, რომ მარტო ლიტერატურის ისტორიაში მოექცა და „ქლიბი“ ოდნავ მასაც მოხვდა უჯრაში ჩასადებად, ის უცდის თმენით — როდის ამოიღებენ იქიდან.

მაგრამ საკუთარ ინდივიდუალობის ძიებაში ის უბედო არ ყოფილა — მას არ უგრძვნია ხანგრძლივი სვლა გადატეხათა გზებზე, იგი ერთბაშად და მთელის სიმაღლით გამოვიდა პირდაპირ თავის ხვეულზე. შემოქმედმა უტანჯველად ჰპოვა თვისი მოწოდება, საკუთარ მოტივს ის იწყებს ამაყის, დაკარგულის სიყვარულით, მის აღდგომაზე ლოცვით და მისი გედის სიმღერაც ხომ ასეთივე ღაღადისი იყო ჩვენს წინ კარგა მოზრდილი კრებულია ბესიკისა: აქ მრავალ ვარჯიშობა-შესხმასთან ერთად დიდ პოემასაც შეხვდებით: რძალ-დედამთიილიანი. მაგრამ ეს ბესიკი არ არის, აქ ის მარტო ლაღობს, ვირტუოზობს, ისვენებს და „ხელოვნებით“ ირთობს დასევდილ გულს, ნამდვილი მისი არსება კი მარტო დაკარგულმა სიყვარულმა შეისვა და სხვა მოტივს არა დარჩა რა ბესიკისაგან: აქ მარტო ორიგინალი „ბესიკური“ (ს. გორგაძის თერმინით) წყობაა და ვირტუოზული ტეხნიკა — შექცევითი შაირობა. ვით ღრუბელმა, სავსებით დაჰფარა მგოსანი სიყვარულმა. მაგრამ ამ სიყვარულის პირველმა ხანამ: იმედმა, აღტაცება-განცხრომამ ვერ აამღერა მგოსანი, მას მარტო დამარცხების შემდგომ ენათესავა პოეზიის ინტიმობა, ის მარტო განწირულების მგოსანი იყო სიყვარულში:

„მღიმარის პირით წამიპარე, დამიდგი მახე.
ასე მეგონა, შემრჩებოდა ეგ შენი სახე;
**ანთებულს ცეცხლსა შესაწველად ხელი შევახე;**
დამწვარი მაინც შემიბრალე, ბესიკი ნახე!
ვაი, შენი ბრალი, ჩემო თავო,
**ღრუბელს შახველი!“**

# იდუმალი სახეები

## საღამო სოფელში

შუქის ჰავლებათ ვლებია
მდელოებს მკრთალი ნათელი.
რამდენი ყვავილებია
ქარებით გადანათელი!

გადმოფრენილებს სერებით
დააქვთ ალები მანანებს,
სოფელი ლმობიერებით
ასვენებს დღეებს სანანელს.

კვდება მზე— ცეცხლის წურბელი
და ნიავები ხმებიან.
გაჰქრა წარსულის ღრუბელი
და უნუგეშო ხმებია:

„მივდივართ, ჩრდილათ ვინთებით,
ირგვლივ უფსკრული—გზებია.
და ღამეების ბინდები
ჩვენს საფლავებში წვებიან.“

## მთვარის კუბო

მთვარეს ლანდები ხლებია,
იდუმალება მისვლია.
თვალები გაცეცხლებია
და ნაპირები —სისხლია.

ეს განსაცდელის ალია
და წყლულებია დროისა,
რომელშიც მიმავალია
სულები საღამოისა.

საღამო: მთვარის კუბოა
და გაფითრება ჟამისა.
მას ნიავ-ქარმა უპოვა
შავი ნაღველი შხამისა.

ის ყვავილებმა დალია
და იშვა წყლული დროისა,
რომელშიც მიმავალია
სულები საღამოისა.

## ყვითელი ხე

წამწამზე დასაკიდელი
ცრემლები ბევრი მოვიდა,
ხე ამოვიდა ყვითელი
სოფელში ძველი გლოვიდან.

იგი ხე ეხლა შავის
სიბერის მატლი სწვევია.
მის ირგვლივ ნისლის შავია,
და ჩარღვეული ხევია.

ისმის ხრიალი ულევი
და გამოხმობა ქარების.
ყველა ბოროტი სულები
იქ არის შენაფარები.

აწვალებს ყორანთ დასევა
და ელის მეხის შებმასო.
ამბობენ: მისი წაქცევა
სოფელს მოუტანს შვებასო.

## იდუმალი ჩრდილი

დაძინებული ქარია.
და ბინდი უფრო ნელია.
ირგვლივ დუმილი—არეა
და ობობების ქსელია.

ვარდებში ჩაუმალია
ჩრდილებს თვალები ღამისა,
ის უხილავი ქალია
ნისლების მოსასხამითა.

მასში ღამეთა ჟინია
და მოჩვენება საამო,
მის თვალში ჩაუძინია
მრავალ კეთროვან საღამოს.

მიმოდის—მზეს ემალება
გრძელ ღამეებში მოსული.
იფარავს დიდი წვალება
თეთრი ნისლებით მოცული.

**ხარიტონ ვარდოშვილი**

# უძილო ღამეებიდან

ჩემი წამება უკვე ნახულია,
წამება სპეტაკი და მუდამ ნამდვილი.
თავზე სიბნელის ბადე მახურია,
და რაღაც ირხევა კუთხესთან ლანდივით.

ისევ მიწყნარდა მაღლა სართულები,
ქარმა შუაღამეს ლონე შეალია.
დავიწყე ფიქრი სხვა მიმართულებით,
და ოთახის კართან რაღაც შრიალია.

მოკუნტული ვწევარ, და მტკივა გვერდები,
უეცარ სიკვდილის მირაჟი ენთება.
სიბნელე მიდის, და ჩნდება კედლები,
სინათლეა ოდნავ, ალბად გათენდება...

# გაზაფხული

ვარ ასე მოღლილი, და სახე დამწვარი,
და ყოველი ღამე ეს ჩემი ლოდია.
მე მივალ ბადისკენ, გათავდა ზამთარი,
და უფრო ცისფერი დღეები მოდიან.

მე ბევრჯერ მქონია დარდი იშვიათი,
ბევრჯერ თავის მოკვლაც მქონდა განზრახული.
გუშინ მომენატრა ფოთლების შრიალი,
და ნელი საღამო ჩუმი გაზაფხულის.

და მგონია ბედი ქარში დამარხული,
მგონია ვიყავი, და ეხლა აღარ ვარ.
ლურჯი სიზმარივით მოვა გაზაფხული,
როგორც სიარული, და როგორც დაღალვა...

**ტერენტი გრანელი.**

# ოთარის ხსოვნას

სულს დაეფლა უსიტყვო ელდა,
სიკვდილის ტალღამ შორს გადამკარგა;
სიღრმე გულისა დაცარიელდა
და შიგ ოთარი ამომექარგა.
დამწვარი გულის სიმები წყდება,
გლოვით აივსო წუთის სამყარო:
ცრემლთა ფრქვევაში სიცოცხლე ჰკნება,
რომ კუბოს სული გადავაფარო...
ჩემი ოთახი გაუდაბურდა,
მყუდროებაა ჩუმი და წყნარი...
მიმქრალი ლანდი შიგ დასადგურდა
და სულს ამძიმებს წამების ჯვარი!

**დარია ახვლედიანი**

# დარდი ჩემს თავზე მუდამი

სიცოცხლე წმინდა აბრეშუმის მოკლე ბეწვია...
ღმერთმა იცოდეს რა დარდებში ღამე ვათიე.
სულში აცივდა. შემოდგომა ვატყობ მეწვია...
ყველას:—შემინდე შეცოდება და მაპატიე.

ემგზავსებოდენ ოცნებები უნაზეს ფეებს,—
ეხლა თალხები მოგონებებს მხოლოდ ავლია.
დაუთოვლია იმედები ზამთრის კვირეებს
და გაზაფხული აპრილშივე დაუნავლია.

ამართულია გასავლელად ჩემს წინ საკირე...
და წარსულიდან ყველა ვარდი დამეფანტება.
ჩამცქერს თვალებში ბედი დიდხანს როგორც ფაკირი,
რომ ყინვის თოკით ჩამომიხრჩოს გიჟი ანთება.

განვლილ დღეებზე გადავყვები ქარებს შლეგიანს.
ლამაზ ოცნებებს მძიმე ჯვარი აეკიდება...
და სულში მხოლოდ ზამთარია და ელეგია
და ქარიშხალში დამსხვრეული ჩემი დიდება.

**ი. მოსაშვილი.**

# იასამანი

(ტომი I. „ხომალდი“-ს გამოცემა. 1922 წ.)

მთელი მე-19 საუკუნის განმავლობაში ჩვენი შემოქმედებითი კულტურა უცხო კულტურის გავლენის ქვეშ ვითარდებოდა. ამ უცხოში მე ვგულისხმობ განსაკუთრებით რუსულს.

ჩვენი ინტელექტუალი ძალების აღზრდა რუსეთის უნივერსიტეტებში ხდებოდა... ძალაუნებურათ რუსულ საზოგადოებრივ აზროვნებით დატვირთულნი უბრუნდებოდენ ეროვნულ კერას. ზოგისთვის ეს კერა მეტად ცივი და ვიწრო იყო... ამათ „მეორე სამშობლოში“ არჩიეს ყოფნა და მოღვაწეობა...

ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ჩვენ ჩამოვრჩით ევროპის საზოგადოებრივ აზროვნებას და განვითარებას. ამას ზედ დაემატა რუსეთის კოლონიალური პოლიტიკა, რომელიც ანგრევდა ჩვენს ეროვნულ მთლიანობას, მიწასთან ასწორებდა ჩვენს ეროვნულ სახეობას.

თვითმპყრობელობის დამხობის შემდეგ მდგომარეობა სავსებით შეიცვალა და ჩვენმა საზოგადოებრივმა ცხოვრებამ ეროვნული იერი მიიღო... დღეს სხვაგვარი პოლიტიკური და სოციალური პირობებია... მთელი აღმოსავლეთი და განსაკუთრებით ჩვენ უცნაურ დილემის წინაშე ვიმყოფებით, რადგან საერთაშორისო ძალთა შეჯიბრება მსოფლიო სცენაზე ჯერ კიდევ გამძაფრებულ ჰიდილშია... და ჩვენი ეროვნული კულტურის ბედი სავსებით გამოსწორებულათ არ უნდა ჩაითვალოს... ალბად ამასაც მივაღწევთ. ამის თავდებია ჩვენი ერის მოუღლელობა და სულის სიმტკიცე.

ჩვენს ეროვნულ შემოქმედებას ამშვენებენ ძვირფასი სახელები რევოლიუციონური პოეტების. ამ სახელთა შორის ძვირფასია **იასამანიც**. საბოლოო თქმა შეუძლებელია ასეთ პოეტზე დღეს, რადგან იგი ჯერ ახალგაზრდაა თავის შემოქმედებით... ჩვენ გვინდა მხოლოდ ამ პოეტის ხელოვნურ სახეთა პარალელები გავხსნათ და აღვნიშნოთ მისი შემოქმედების მიღწევანი.

იასამანის შემოქმედებაში აღსანიშნავია ორი პერიოდი. პირველ ნახევარში ის გვევლინება როგორც პრიმიტივი. თუმცა ამ სენით ის საბოლოოდ განიკურნა და ახალი განცდებით დაიტვირთა... პირველ პერიოდში

დასწვა ამ დიდმა სიყვარულმა მგოსანი, სული ამოაცალა:

„სული შენ გაქვს მას დღეს აქეთ,
ოდეს ვიყავთ ორნი მწყობრად“...

და დაცლილი სიცოცხლის სიხარულიდან—კვლავ ეკითხება სატრფოს: „მითხარ, ნაცვალი სიცოცხლისა ნეტარ რა მომეც?..“ ჩვენ ხომ ვიცით—რა მისცა ნაცვლად ბატონიშვილმა ანამ: მას მგოსნობა უბოძა. შეიძლება იმ საუკუნისთვის მგოსანთ-უხუცესობაც. მან მოჰკლა ბესარიონი, მაგრამ გვაჩუქა ბესიკი: ქმნა სიკვდილით აღდგომა, და ჩვენი დიდი მადლობა ამ წმინდა ანას.

*

აღმოსავლეთის სატრფიალო, სასიყვარულო ლირიკას ორი მხარე აქვს—ორივ შაირი ღრმაა აზრით, ფაბულით, ვით აღმოსავლეთის მძინარე უდაბნოში ჰისძირი და უხვი ფერადებით, ვით სპარსული ხალიჩა...

მაგრამ მან დატკბობა, დათრობაც იცის უანგარიშოდ, აღმოსავლეთურად და ცრემლებით დაწურვა და ჰანგებად აგებული ვაება ხომ უდაოდ მისი საკუთრებაა: ტკბილი და მწარე. და ბესიკიც ხომ აღმოსავლეთის ლირიკოსია, მისი მწარის ცრემლებით დაწურვის მგოსანი. ამას ისიც გრძნობს, იცის რა თვისებისაა მისი წყურვილი და რა ძნელია უჩრდილო, ოაზის მოკლებულ უდაბნოში სვლა:

„ძნელი ყოფილა დამაშვრალსა შეხვდეს წყურვილი,
მზისა სიცხოველე მირასჰირდეს, შექმნას ურვილი!
ვა, ჩემსა ბედსა! იცი მე ვარ სულმიწყურვილი!..“

და თუმცა მასში წუთითაც არ მომკვდარა მოგონება „ტკბილისა“, მაგრამ ეს უფრო აცხოველებს და აღრმავებს ბესიკის სევდას:

„შენის ბაგისა ორნი მეცნეს: ტკბილი და მწარე
**ორკეცად შენი სიყვარული თავს დამაფარე!**“

ჩვენთვის ხომ აშკარაა, რომ ეს „ორკეცი“ მისთვის მარტო „მწარე“ იყო; მარტო ის ატირებდა მას ასე ლამაზად—„ტფილისის ქუჩები გადაყრუებული იყო ბესიკის ბაიათებით“-ო, დასძენს მისი ბიოგრაფი.

*

ბევრი მსხვერპლი გაწირულა სიყვარულისათვის პოეზიაში, ქართულ უხვ გრძნობასაც არ დაუკლია აქ რაიმე, არ დაუზოგავს და მათ შორის ბესიკის თქმა ულამაზესია—იგი მიიღო სიყვარულმა, იმიტომ რომ სიყვარულით იყო „ორკეცად დაფარული“ და გამთბარი... და მთელი მისი შემოქმედებითი წვა ნებიერი ლვდელმოქმედებაა. ამ სტიქიის შემოტევით (სიყვარულით) ბესიკის პიროვნება უფრო გამთელდა—(არა ჯანსაღობით, ფიზიკით), სინთეტიურად იქცა და ყოველი მისი სხეულის ნაწილი დამდნარი იყო ამ ცეცხლით, მაგრამ ფოლადობს დღესაც და გულს სჭრის სევდით... იგი ახალი „დაბადებაა“ ამ ახალის რელიგიისათვის, ის გადაბადებაა ინდივიდისთვის და მრავალს უგრძვნია სიყვარულით ახლად შობა; მაგრამ განა მრავალ მგოსანს გადმოუცია ასეთის სიმდიდრით ეს გადაბადება?—

„მეყნოსა ოდეს სურნელება თმისა შენისა,
მყისვე გაცუდდეს მრავლადობა ჩემის სენისა;
ამოდ და წყნარად **სიტყვა მესმა მზისა ენისა,**
შევსვი შარბათი ბაგეთაგან არ საწყენისა,
მისთვის შემექმნა გული მუდამ მინაშურვილი!“

მაგრამ ეს სიყვარულის მზის ტალღებში გადაბადებული არსება არ შეითვისა მოყვარულმა; ვით მზეს, ისე შორიდან ეტრფის მისთვის შობილი და მარტო მისი კარების ერთგული მცველი შეიქმნა იგი, და ეს როლი მან უანსაბლოდ შეასრულა, მაგრამ უნაკლოდ.

„ჰე, გულო-კრულო, ისარ-კრულო, ბედსა ხარ მწარეს!
გიხმს თავო, ზღვათა შესართავო, რბოდე მისს არეს!
ღარიბად ვლიდე, **კართა სცვიდე,** თუ შეგიწყნარეს!..“

და ეს კარები კი მისთვის მუდამ მტკიცედ იყო გადარაზული. მაშ, რათა „სცვიდა“, რად არ განშორდა? იმიტომ, რომ ის ბესიკი იყო—სიყვარულის რაინდი ერთგული და უშიშარი.

*

მარტოობა მრავალთა ხვედრია, მარტოობის ატანა—რჩეულთა. ამ მარტოობის გზაზე ვინც თვის იდეალს არ დაჰკარგავს, ვინც მაინც განაგრძობს მისთვის ბრძოლას, ის გმირია. მარტოობა მარტო შხამს აწვდის საჩუქრად ამ გმირს, მაგრამ სოკრატეს საწამლავის არ შეშინებია; მან იცოდა, რომ სიყვარულისათვის კვდებოდა—სიმართლისათვის. და მარტოობა ბესიკისა გაუტეხელი იყო, ძლიერი...

მას არ უნახავს ნეტარება, მაგრამ სასოწარკვეთას არ დაუფარავს იგი, რადგან ერთად-ერთი განძი მუდამ თან ახლდა; მან ეს იცოდა, ის მას იცნობდა: ეს მისი წმინდა სიყვარულის დიდი სევდა იყო... და ეს მან ცხადად იგრძნო იმ თავითვე, რაც „დაბერა ქარმან დაუწყნარმან, ზღვად დაიფარნა“, მან იგრძნო, რომ მისი თქმა, წრფელი გოდება მუდამ ახლოს იქმნებოდა ჩვენს გულთან, უკვდავად, ვით სიყვარული, და ამ „ზღვაში“ განბანილი და მისგან დალეწილი, დაღლეთილი სხეული, რომელიც მარტო ერთ გრძნობად ლა შეიკრა. ჩვენ გვიანდერძა:

„დაბერდა ყური, სევდის ჰური რა ჰპოვა სოფლით,
დაბინდდა თვალნი, შეუმკრთალნი ცრემლით და ოფლით,
დადგეს ცა ხელნი, მარჯვედ წრფელნი, შორნი საყოფლით,
ხელმწიფე გული ცეცხლ-დაგული, სულით დაშყოფლით,
**ჰირსამცა თქვენსა თუ გალხენსა, მოიხმარენით**“.

აქ ის ინტუიციით გრძნობდა თვის უკვდავებას, რადგან გზა, რომელსაც მან ფეხი შესდგა, იცოდა—ულეველი იყო. და განა ჩვენ არ მოვიხმარეთ მისი ხელმწიფე—გული? განა ჩვენი პოეზია მე-XIX-ში და მე-XX საუკუნის დასაწყისში არ დაეწაფა ბესიკის მოტივს? განა დღესაც ეს მოტივი „გაბზარულ გულისა“ ჩვენი ლიტერატურის უნაზესი მხარე არ არის? რა ვუყოთ, რომ ამ პრობლემის რელიგიურ ძალას ვერ სძლია დღეის მწერლობამ—ის ვერ ასცდა სინამდვილის ძალას. ბესიკის სინამდვილე კი სულ სხვა იყო.

და ვინ იცის კიდევ რამდენ თაობას აატირებს ბესიკის თარი...

მან იცოდა სიყვარულის მარადისობა, მან განიცადა მისი რელიგიური ძალა. როგორც ყოველი ასკეტი, ის ერთგულია მარტო თვისი რელიგიის და სინამდვილე, ცხოვრება მას სასტიკ ბრძოლას უცხადებს დასამარცხებლად. მაგრამ ასკეტისათვის მიუღებელია ეს ქვეყანა, ის მას შეგნებით ებრძვის. ბესიკის რელიგია კი ამ ქვეყნიურად დაკარგული სამოთხეა და ის მისთვის იბრძვის. ამიტომ ის უფრო მწვავედ გრძნობს საწადელის მიუღწევლობას, იგი მას ხედავს, შორიდან სტკბება, მაგრამ ახლო ვერ მიდის.

„გამტყორცა სოფელმა, მოვშორდი მზესა;
დღენი ჩემნი წარვიდნენ ბნელად და ბნელად!
ვინ ჰპოვა სოფლიდან ბედნიერება?
უნუგეშოს მართებს მარტო ვაება,
სტიროდეს და რბოდეს ველად და ველად!
მიჯნურთაგან რა გსურს წუთი-სოფლო,
ჩემებრ ბედ-წარსულზედ გინდა ისახლო?!
დამსვი გულ-მდუღარედ მწველად და მწველად!“

ასეთი უსაზღვრო მწუხარება გასტეხს პიროვნებას, დაადნობ ნებას, მაგრამ ბესიკი მან მხოლოდ ერთ არსად გადაადნო... ჩვენ ეს ვნახეთ, თვითონაც ხომ გრძნობდა და ერთადერთი ნუგეში, ყოფას რომ უმსუბუქებდა—სიყვარულისათვის მგოსნობა იყო, და მან იცოდა მარტო ამისათვის ატანა:

„ის გიჯობს თავო საესავო, მიჰყვე თმენასა!“ და ეს ნუგეში გაუტეხელი იყო მაშინაც კი, როცა ავტორი ამბობდა:

„სენდისა ლაშქარი შემომიხდება,
სურვილის ცეცხლი მომეკიდება,
სულთქმა და ტირილი გამიხშირდება“.

რა უცხოა ეს მისთვის, ვისაც სიყვარულით არ უტირია, ვისაც ამ ახალ რელიგიის ფრთა არ გაჰკარებია. რა საცოდავია ის და სავალალო...

*

გვგრძნობ—თქვენ ბესიკის ჰორიზონტი ვიწროდ მოგეჩვენებათ, ვიცი—სხვა მოტივიც მოგწყურდებათ მისი გამართლებისათვის, მაგრამ ის გამართლებულია სიყვარულით, განათებულია მისის სხივებით. სხვა გაქანება მისთვის უწრფელოა და უგულო, მაგრამ ამ თქმაში ის დაუშრეტლად მრავალფეროვანია... დაკარგულის ძიებაში მისი ნება არ დაშრეტილა და ვნება არ დამცხრალა. თუმცა ისიც კარგად ხედავს ამ წამებათა უშედეგობას დღეის გაგებით. ეს პროცესი თვითონ შედეგია მისთვის—იმედი მწუხარების დაუსრულებლობისა. ორიგინალი იმედია დღეს რომ აღარავისთვის იმედობს.

მან იცის, რომ დანაკარგის ძიება შეიძლება, მაგრამ პოვნა არასდროს. და ის ამ ძიებით კმაყოფილდება: სიყვარულისთვის ტანჯვის რელიგიაა ეს. ჩამოაცალეთ რელიგიას, რაც ზედნაშენია—სანქცია, იმ ქვეყნიურობის სახით რომ ვსჯით და ვაჯილდოვებთ, და თქვენ შეგრჩებათ წმინდა, დახვეწილი რელიგია, რაც დღეს ასე საჭიროა და რისაც ასე გვეშინიან.

ჩვენ გვამოქმედებს ეს სანქცია, მისი შიში და არა შიგნითი ბუნება რელიგიის კეთილშობილებისა, ჩამოაცალეთ სიყვარულს ასეთი სანქცია, რამაც ძიების შემდგომ სიყვარული უნდა განახორციელოს, რეალობად აქციოს და თქვენ შეგრჩებათ ნამდვილი სიყვარული, ეს იქმნება ბესიკის სიყვარული—მისთვის სიცხადე, მაგრამ ჩვენთვის მისტიური და მიუწვდომელი, მიუღებელიც.

მას ვერასოდეს ვერ დაჰფარავს ჩვენ მიერ გამოგონილი „საამისო“ ტრაფარეტი: სიყვარული სიყვარულისათვის...

არა, აქ სიყვარული რელიგიისათვის არის, მარტო შეწირვისათვის, ამიტომაა ის წმინდა და ბესიკის თქმაც ხომ ლოცვებად იშლება დღეს. ეს გოდებაა დაკარგულ სამოთხეზე და რწმენაც, ხომ ის რეალობაა, გამორჩეული ყველა რეალობიდან, მაგრამ მისი დიდის ბუნების გამო მუდამ მიუწვდენელი, განუმეორებელი:

„დავკარგე სატრფო ჩემი ცხოვრება!
დავკარგე სამოთხე და უკვდავება!
დავკარგე მინერვა—სიბრძნის დიდება“
და ყველა ამის ნაცვლად მგოსნის წინ—
„გამოჩნდა სოფელი უბედობისა...
გამოჩნდა ჰქალადი სულთ-მხდელობისა!
განშმაგდა ქვეყანა, ველად განხდება“!

მაგრამ ის მაინც არ ისვენებს და არ დრკება. მისი ოცნება ისევ შეპყრობილია ამ სიყვარულით, ამ ქვეყნიურად შესასრულებელ უშრეტელ რელიგიის სხივოსნობით; მას ის უნახავს, იცის რომ არსებობს ეს სინამდვილე და დოგმატიურად არ შეუთვისებია. მას კვლავ სწყურია იცოდეს:

„სად მიდრკების მზე, სად უჩინარობს?
სად სთოვს ნათელსა, სად მონარნარობს?
სად იშლების ვარდი, სად მოცინარობს?
სად ნექტარებს წყარო, სად მომდინარობს?..“

*

ეს უსანქციო რელიგია; დაუჯილდოებელი, შეუსმენელი ლოცვანი ძნელი გზაა ფრიად და მასზედ მარტო თავგანწირვით თუ გაივლის ვინმე. ბესიკმა გაიარა ეს ხიდი სიყვარულისთვის შეწირვის ისეთის ნაზის მუსიკით და სიმხნით, რომ ერთხელაც არ შემღლია ფეხი. მას მისცა მთელი თავისი სიცოცხლე ამ „უშედეგო“ რელიგიას, დაუსრულებელ წვას და ეს იყო მისი იმედი. მე მინდა მისი სახე ნათელი იყოს ყველა ქართველისათვის, მინდა გაიგოთ ეს ორიგინალი ხელოვანი და ჩემს სიტყვაში წინააღმდეგობა არ დაინახოთ, რადგან ბესიკის თქმაში ურყევი მთლიანობაა; იმედიანი პესიმიზმი, დააკვირდით ბესიკს და მისი სიყვარულის გაგება დაფარავს ამ „კონტრასტს“. ამაშია მისი მელოდიის ორიგინალობა, სანეტარო მწუხარებაა მასში. სიხარულით მიღებული სევდაა აქ, ამიტომ „აყრუებდა ის ტფილისის ქუჩებს“.

და თუმცა იტყოდა: „მწვავს ცეცხლი ძნელი, მძაფრი არ ნელი მუდამ მდაგველად“... მაგრამ მას უნდოდა, სწყუროდა ამ წმინდა ცეცხლში წვა, მისი მგოსანი იყო და „ამად რბოდა ველად“.

და განა მისი ბეატრიჩე არ იყო ღირსი ამ მსხვერპლშეწირვის? უეჭველად იყო, და ამ მსხვერპლის შეწირვა რომ დანანებოდა მგოსანს, ანა ხომ ღმერთათ არ იქმნებოდა; და ბესიკის სიყვარულიც რელიგიად არ გარდიქმნებოდა მისთვის, ვინც მგოსნისათვის მუდამ დარჩა ვით:

„შავი შაშვი შავს გალიას შემსხდარი,
**სხვა** ყვავილთა და **სხვა** ამბავთ მთხრობელი,
შავ ხავერდ მოსილი, ქუფრად მბზინავი“.

*

წერტილი?!. მაგრამ ვგრძნობ, ოდნავადაც ვერ დავსძლიე ამ ძველსა და მუდამ ახალ მგოსანს: ვისაც არა მარტო ლამაზი ტანჯვა და ლოცვანი ენათესავებოდა, მან ლამაზადვე იცოდა გაშლა მწუხარების ღრმა ტალღებისა. აღმოსავლეთის ჩუქურთმა და ქართული ორნამენტიკა მის მწუხარე მელოდიას გარს შემორტყმია.

ამ ლამაზ ფორმას დღესაც ბევრი დაეძებს და ეს ფერადი; მუსიკაში დამდნარი სიტყვები ჩვენს დროში ხომ დავიწყებულია და ვით „შრომანთა შლილნი, ყარამფილნი, შვენვით ზვაობენ“. დღეს ხელოვნური ძიებაა ამ ფორმათა და ალიტერაციათა, ბესიკს კი ეს ბუნებრივად ჰქონდა...

ეს სიყვარულის რელიგიის ლამაზი მოციქული, წმ. სებასტიანესავით დაისრული, დღესაც უდგას დარაჯად ყველაზე ინტიმურ ზრახვებს, ის მისი ანგელოსია მარად და ყველგან; ის მას ვერ დასტოვებს, ვით კეთილშობილი კეთილშობილს.

ბესიკი სიყვარულის არისტოკრატი რომანტიკოსია და ყველა გრძნობათა შორის სიყვარული ხომ უფრო არისტოკრატიული და რომანტიულია. და ისინი ერთად ივლიან მუდამ კეთილშობილნი.

მაგონდება ილიას მძლავრი თქმა:

„მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა,
შენის სისხლითა გული სრულად გარდამებანა“.

შესცვალეთ „საქართველო“ „სიყვარულით“ და ეს იქმნება ბესიკის თქმაც.

ჩვენ კი?..

ჩვენ მარტო ის დაგვრჩენია, რომ „მარად და ყველგან“ ბესიკთან და ილიასთან ვიყოთ. მათთვის სებასტიანე ვიყოთ... და უნდა ვიყოთ!

რადგან მათგან „გვაჩნია გულებსა ხაზი“!..

**აკაკი პაპავა.**

ქ. ბერლინი 1/II 23 წ.

მისი სტილი და ფორმა უსათუოდ ნაკლებად დამუშავებულია, მაგრამ მიუხედავად ამისა იასამანს ამავე პერიოდში არ აკლია ტემპერამენტი და საკმაო სითბო. მეორე პერიოდი იასამანის შემოქმედებაში 1916—17 წლიდან იწყება. მეტად საინტერესოა ის ამ პერიოდში... იწყება ჭაობის პეიზაჟის გახსნა... საინტერესო და უჩვეულო თემაა, რომელსაც პოეტმა უძღვნა რამდენიმე ლექსი: „ტბა“, „ჭაობის ლელი“, „პალიასტომთან“ და სხვა... ჩვენ გვჯერა, რომ პოეტი ძალზე გააღრმავებს ამ თემას ლექსთა მთელი ციკლით.

იასამანის შემოქმედების პოტენციის სიდიდე უეჭველი თავდებია იმისა, რომ იგი დიდი გამძლეობის პოეტია.

აღნიშნულ ლექსებში მოცემულია დასავლეთ საქართველოს ჭაობის ნესტიანი სურნელება. არავის მოუცია დასავლეთ საქართველოს ბუნების ნესტიანი ფერები ისე მკაფიოთ, როგორც ეს იასამანმა მოგვცა.

„საღამოობით გულჩავარდნილ ოლრო-ჩოლროებს,
წყლით ამოვსებულთ და ეკლებით ამობარდნილებს
ჩამავალი მზე თავს დაახვევს ურიცხვ კოლოებს,
ფრთა ამართულებს, გესლიანებს, პირწავარდნილებს.
ქვემძრომთა ჯარი ბნედიანი ფართე თვალებით
აეგლისება თავმომწონე ნამორს, ფუტუროს...

და შემდეგ:

სულს დალევს მწუხრი, მკრთალ სიხვების გაცილებით,
ჩაჰქრება კოშკი, უსუზრავი გაედინება.
გახაზავს ნავი ტბის ზედა პირს გასრიალებით,
და კაპარჭინას ბადეებში ჩაეძინება“...

ჩვენი ხელოვნური შემოქმედება მეტად ღარიბია ზღვის და ჭაობის პიეზაჟებით. ზღვა, ეს ძვირფასი და მდიდარი ფონემა ჯერ თითქმის ხელუხლებელია და ვინ იცის რამდენი ძვირფასი აკორდი მოდინდება მის აწყვეტილ და გაცოფებულ ტალღებიდან... ჭაობის პეიზაჟი იასამანით იწყება. არ ვიცი ვინ გახსნის ზღვის პეიზაჟებს. აქ უეჭველად დიდი გამძლეობის და ტემპერამენტის პოეტია საჭირო.

ეროვნული უბედობა ძლიერ აწვალებს პოეტს. მოულლელი და გატაცებული უკეთესი მერმისით, არ კმაყოფილდება გამარჯვების შესაძლებლობით. შურისძიებით სავსეა მისი სული.

„მახვილი მოაქვს, მტრის გამგმირი, სხვისთვის ფარული,
სწორ კალაპოტით საუკუნით წარმომდინარი.
ქართლს უყვარს მთვარე მილეული, ოქროს მძივება,
და მის სხივებზე დაუნდობი შურისძიება“.

და პოეტს სწამს, რომ მოვა აწყვეტილ ტალებათ ატეხილი გრიგალი, გაშლის მთის მწვერვალებზე დადებულ ნისლს.

ქარიშხლის ფრთაზე აღინიშნა შენი მყობადი...
წითელ დროშაზე დაიწერა აზრი ზოგადი.
თუმც საწამლავი შენც იგემე სასტიკის გველის,
მაგრამ მის ბედი დამღუპველი შენ არ მოგელის“...

მრავალი უბედობა დაგვატყდა ჩვენ თავზე, მაგრამ პოეტს მაინც სწამს გამარჯვების შესაძლებლობა... რადგან: „გმირთა ნაძალადევი აენთება, როგორც ელექტრო. ნარიყალას შეაზარხოშებს სისხლით დამთვრალი მტკვარი, მთა-წმინდა წინ გაყვება ყველას ჯადოქრული ცეცხლით აელვებული“...

(იხ. მწუხარი დედა-ქალაქში).

იასამანი რევოლიუციონერი პოეტია. ის ბევრჯერ აწამეს ნიკოლოზის ჟანდარმებმა საპყრობილეში.

ფიქრებს ნუ მიშლი—ეუბნება იგი ჯალათს, (ციხის მელოდია) ვის შერჩენია ერთი დრო, შენ რომ შეგრჩეს. ალბათ ზეგ ჩვენთვისაც გამოიდარებს, ჩვენ ფრთებს ავისხამთ და ჰქაგრგვინვით ბრძოლას დავიწყებთ, გადამწყვეტ ბრძოლას, შენ კი ჩაგქოლავენო...

„დე! აღსდგეს ხალხი, მტერს ეკვეთოს თავდავიწყებით...
ბრძოლის ყიჟინამ ფრთები შესძრას, დაიგრიალოს...
ჩვენ მოუწოდებთ ბრძოლად ჩაგრულთ, მათთან ვიქნებით...
სიტყვა სთქვას თოფმა, ჩვენმა დროშამ კვლავ იფრიალოს!..“

იასამანის სტილი და მანერა თავისებურია (ვგულისხმობთ მისი შემოქმედების მეორე პერიოდს) მისი სული ბრძოლის ჟინით შეზარხოშებაში და ჭაობების ნესტიან ირთვილში იშლება.

ამ პერიოდში იასამანი თავისებურ ტემპერამენტის პოეტად გვევლინება. მან შესძლო სტილის განვითარება მაქსიმუმამდე.

ამ პერიოდში სჩანს იასამანის შემოქმედებაში ფილოსოფიური დასაწყისი. (ლექსები: „ელეგია“, „ზღვის პირად“, „მექას მიმავალ ქარავანს“, „შემოთენება“ და სხვა). აქ მოცემულია მოვლენათა თავისებური გაშუქება.

და ჩვენ გვჯერა, რომ იასამანის პოეზია კვლავ მოგვცემს ახალ მიღწევებს. ამის თავდებია უჩვეულო სითბო და აზრთა შენების თავისებური არქიტექტონიკა მის შემოქმედებაში.

ძლიერი პოტენცია და ლექსის ახალი ორნამენტიკა იასამანს უეჭველად აძლევს ჭეშმარიტი პოეტის გვრგვინს.

ი. მანწკავა.

# ქრონიკა

**ლიტერატურული ხუთშაბათი.**

სრ. საქ. მწერალთა კავშირის საღამოები სხვა და სხვა მიზეზისა გამო შეჩერებულ იქმნა. საღამოს განახლებისთანავე პირველი ხუთშაბათი ეკუთვნება პოეტს კოტე მაყაშვილს. შემდეგ გამოცხადდება მოხსენებათა მთელი რიგი.

**ნ. ჩხიკვაძის წიგნი.**

დაიბეჭდა და მოკლე ხანში გამოვა ნოე ჩხიკვაძის ლექსთა კრებული.

**„ილიონი“.**

ილიონის მეოთხე წიგნი გამოვა მარტის პირველ რიცხვებში: მონაწილეობენ: ი. გრიშაშვილი, კ. გამსახურდია, ს. ფაშალიშვილი, მარიჯან, ი. მოსაშვილი, ლადო ახობაძე, გარდელი, არისტო ჭუმბაძე, ი. ტატიშვილი, აკაკი პაპავა, კ. აბაშიძე, და სხ.

**კოტე მარჯანიშვილი.**

რეჟისორი კ. მარჯანიშვილი ოპერის თეატრისთვის ამზადებს: „ლოენგრინს“, „მშვენიერ ელენეს“, ბორის-გოდუნოვს, და „ნატვრის თვალს“. ხოლო დრამის თეატრისთვის: „ჰამლეტს“ (ჰამლეტი—გ. დავითაშვილი), მ. ქორელი ამზადებს „მაკბეტს“ ა. იმედაშვილის მონაწილეობით, განზრახულია ყველა რეჟისორების ხელმძღვანელობით დაიდგას: თარგმნილი პიესა: „კაცი სარკიდან“.

**გრ. წერეთლის ლექცია.**

ხუთშაბათს, მარტის 1-ლს: კონსერვატორიის დარბაზში პრ. წერეთელმა წაიკათხა საინტერესო მოხსენება: „ალკეი და „საფო“ ხალხი ბევრი დაესწრო.

**პედაგოგიური ჟურნალი.**

განათლების კომისარიატის ინიციატივით მოკლე ხანში გამოვა ყოველთვიური პედაგოგიური ჟურნალი.

**საქართველოს ახალი რუქა.**

გამოვიდა და იყიდება პრ. ივ ჯავახიშვილის რედაქციით შედგენილი საქართველოს რუქა.

**ასპიროზი.**

რედაქციას მოუვიდა ბათომში გამოცემული ყოველკვირეული სალიტერატურო გაზეთი: „ასპიროზი“. რედაქტორია: თ. სიხარულიძე. გამომცემელი: ალ. ესაკია. გაზეთი გარეგნულად დიდი ფორმატიისა.

**მარიამ გაბაშვილის იუბ ლე.**

პირველი კონსერვატორია 11 მარტს დიდის ზეიმით უმართავს 45 წლის იუბილეს მუსიკის განთქმულ მასწავლებელ ქალს მარიამ გაბაშვილს. შეუდარებელ პედაგოგს, იშვიათ ადამიანს, დაუცხრომელ ენერგიის პატრონს. მ. გაბაშვილს იცნობს მთელი მუსიკალური ტფილის. მისი ყოფილ მოწაფეთა უმრავლესობა განთქმული პიანისტები არიან. მათი სახელები ბრწყინავენ როგორც საქართველოში აგრეთვე რუსეთში და ევროპაშიაც კი. ჩვენი საზოგადოება ალბად პატივს სცემს მუსიკის პირველს ქართველ მასწავლებელ ქალს და თავის თანაგრძობით გაუადვილებს მას ჩუმს, ურეკლამოს, მაგრამ დიდს კულტურულ მუშაობას.

**„მოძღვარი“ ეკრანზე.**

ა. ყაზბეგის მოთხრობა „მოძღვარი“ გადაღებულია ეკრანზე და ახლო მომავალში დადგმენ ტფილისში.

**„ლედი უინდერმერის მარაო“.**

არისტო ჭუმბაძემ და ირაკლი ტატიშვილმა ინგლისურიდან სთარგმნეს ოსკარ უაილდის 4 მოქმედებიანი პიესა „ლედი უინდერმერის მარაო“. პიესა უკვე გადაეცა ქართული დრამის დირექციას და ამ სეზონშივე დაიდგმება კოტე მარჯანიშვილის რეჟისორობით.

**„აბესალომ და ეთერი“ მეასედ.**

თებერვლის 21-ს სახელმწიფო ოპერის თეატრში მეასედ დაიდგა ზ. ფალიაშვილის ორიგანალური ოპერა: „აბესალომ და ეთერი“. ამ წარმოდგენის სამახსოვროდ თეატრის დირექციამ სადღესასწაულო ჟეტონები დაურიგა სხვა და სხვა დარგის სათეატრო მუშაკებს, რომელნიც უწყებულ რიცხვჯერ იღებდნენ მონაწილეობას „აბესალომ და ეთერის“ დადგმაში. ჟეტონები ერგოთ: ივ. სარაჯიშვილს, ა. ინაშვილს, გ. ქურხულს, ფარდის ამწევს, გარდერობის გამგეს, დეკორატორს, თერძს, აგრეთვე იმ მსახიობთ, რომელნიც ასჯერ უსიტყვოდ ასრულებდნენ ერთსა და იმავე როლს.

**საბავშვო ლიტერატურა.**

განათლების კომისარიატთან არსებულ საყმაწვილო სექციას აქვს განზრახული მომავალში გამოუშვას შემდეგი წიგნები: 1. „ზამთარი“, 2. გაზაფხული და ზაფხული“, მცირე წლოვანთათვის, 3. მოთხრობათა კრებული მცირე წლოვანთათვის, 4. მოთხრობათა კრებული მოზრდილთათვის, 5. ჩვენი ზღაპრები, 6. „კომბლე“ ზღაპარი, 7. ზღაპარი სურათებით, მცირე წლოვანთათვის, 8. როგორ იცავენ თავს ცხოველები მტრებისაგან, 9. მზე, მთვარე და ვარსკვლავები, (თარგმანი), 10. მცენარეების მეგობრები, 11. ოქროს მატყლოვანი ვერძი, 12. უძველეს ბავშის თავგადასავალი, (თარგმანი), 13 ზღვის ფსკერი.

## უ ც ხ ო ე თ ი.

**კულტურულ ნაშთების დაცვა.**

რუსეთში განკარგულებაა, რომ დაცულ იქნას და შენახული ზოგიერთი სოფლები და მამულები როგორც კულტურული ნაშთები: 1) პირველ რიგში დაცული იქნება სოფ. მიხაილოვსკოე, სადაც რამდენიმე წლის განმავლობაში თავის გამდელთან სცხოვრობდა პოეტი პუშკინი და სადაც დაიწერა რამდენიმე თავი „ევგენი ონეგინის“, 2) სოფელი ლუტავინოვა, აქ არის შენახული ის ფლიგელი, სადაც დროგამოშვებით ნადირობის დროს სცხოვრობდა ტურგენევი; 3) სოფ. ოსტაფიევო, აქ ინახება მუზეუმი, ბიბლიოთეკა და ოთახი კარამზინისა, სადაც იწერებოდა მისი ცნობილი ნაშრომი: „რუსეთის სახელმწიფოს ისტორია,—ამავე სოფლის მუზეუმში ინახება პუშკინის მაგიდა თავის სამწერლო მოწყობილობით, და ერთერთ უჯრაში კი შენახულია ის ელეგი (ქილეტი), რომელიც დუელის დროს ეცვა პუშკინს; 4) რაც შეეხება ლევ. ტოლსტოის სოფ. იასნაია-პოლიანას, აქ მთელი კარმიდამო შენახულია ხელუხლებლად და მოთავსებულია ტოლსტოის სახელობის მუზეუმი; 5) მწერალ ს. ტ. აქსაკოვის სოფ. აბრამცევოში შენახულია ის ძველი, მამაპაპური სახლი, სადაც ხშირი სტუმრები იყვნენ: გოგოლი, ტურგენიევი და სხვ. აქ ერთ ოთახს დაერქვა: „გოგოლის ოთახი“; 6) იალტაში დაცულია ა. ჩეხოვის აგარაკი, სადაც მოთავსებულია მისივე სახელობის მუზეუმი. ეს აგარაკი ააშენა თვითონ მწერალმა თავის გემოვნების მიხედვით და ითვლებოდა მის საყვარელ მყუდრო ბინად; ამ აგარაკს ა. ჩეხოვი არა ერთხელ იხსენიებს თავის წერილებში.

**პარიზის თეატრებში.** გასული წლის დეკემბერში პარიზის სცენაზე ორი ახალი პიესა იდგმებოდა: ფრანგულ კომედიაში—„ბრძენის გატაცება“, ხოლო „ხელოვნებათა თეატრში“—„არა-ადამიანთა სამყარო“. ორივე პიესა ეკუთვნის ფრანსუა დე კიურელს.

პარიზის პრესის აზრით, განსაკუთრებით დიდ შთაბეჭდილებას სტოვებს ფრანსუა დე კიურელის მეორე პიესა—„არა ადამიანთა სამყარო“. მოქმედება სწარმოებს მსოფლიო ომის დროს, ლოტარინგიაში. მეომარ მხარეთა წარმომადგენლების ურთიერთისადმი სიძულვილი, სიყვარული და გრძნობა პატრიოტულ მოვალეობათა—ერთმანეთზეა გადახლართული. ყოველი სიტყვა, ყოველი პაუზა—პიესაში აწონილი და გამოზომილია.

გაზ. „ტანი“ სწერს: „ბერძნების ტრაგედიის დროებათა შემდეგ, კლასიკთა და ძველთა ლეგენდების შემდეგაც კი—არც ერთს დრამატიულს ნაწარმოებში არ გამოჩენილა ის უმაღლესი პათოსი, როგორიც ამ პიესაში სჩანს. არც ერთი ზედმეტი სიტყვა, არც ერთი მომეტებული სცენა არაა შიგ. ჩვენ მომქმედ პირებს კი არ ვუყურებთ, ჩვენ თვითონ ვსცხოვრობთ მათში“.

პიესას სდგამს ანტუანი და ხალხს ფრიად მოსწონს იგი.

**სარედაქციო კოლეგია**


# ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა სააქციო საზოგადოება.

## ბალანსი

### 1-ლ იანვრისთვის 1922 წლისა.

**აქტივი.**

| | |
|---|---|
| ს ა ლ ა რ ო | 127.082.750,—03 |
| სახელდახელო ანგარიშები | 7.560.974,— |
| ბრიტანეთის სავაჭრო კორპორაციის ბანკი | 42.053.077,—28 |
| „გარანტი ტრესტი“-ს ბანკი | 26.855.299,—10 |
| შეძენილ შავ ქვაში გაცემული ავანსები | 1.327.000,— |
| ავანსები, აქციებით უზრუნველყოფილი | 3.004.057,—98 |
| ავანსები 1920 წლის დივიდენდის ანგარიშში | 6.378.300,— |
| საზოგადოების კუთვნილი აქციები | 172.900— |
| დასაბრუნებელი ხარჯები | 92.891.861,—39 |
| შესყიდული შავი ქვა | 77.528.775,— |
| მექანიკური მოწყობილობანი და მანქანები | 9.379.333,—01 |
| მ ა ს ა ლ ე ბ ი | 39.562.867,—10 |
| უძრავი ქონება | 31.560.800,— |
| მოწყობა და გამართვა | 9.517.741,—60 |
| აქციონერებზე გაცემული განსაკუთრებული თანხები | 646.550.000,— |
| ფოთის კანტორა | 63.737.025,—65 |
| სესხი აქციონერებს | 5.123.729,—06 |
| სახელდახელო ანგარიში ჭიათურის სადგურზე | 30.000.000,— |
| რკინის გზების სამმართველო | 200.000.000,— |
| ჭიათურის კანტორა | 190.836.912,—33 |
| საზოგადოება „ჩემო“ | 176.171.000,03 |
| ანგარიშ-ქვეშ გაცემული თანხები | 24.328.757.—08 |
| დ ე ბ ი ტ ო რ ე ბ ი | 277.437.553,—43 |
| სავაჭრო სახლი „ჯავახიშვილი და კომპ.“ | 14.987.427,—86 |
| 1922 წლის ანგარიშში გაწეული საექსპორტო ხარჯები | 280.361.985,— |
| ბ ა ლ ა ნ ს ი | 2.384.409.926.—93 |

**პასივი.**

| | |
|---|---|
| ძირითადი თანხა | 30 000.000,— |
| სათადარიგო თანხა | 371.720,—78 |
| უძრავ-მოძრავი ქონების საამორტიზაციო თანხა | 3.000.000,— |
| ამორტიზაცია იმ თანხისა, რომელიც დახარჯულია: 1) მოწყობა-გამართვაზე, 2) უძრავი ქონების შეძენაზე და 3) მექანიკურ-მოწყობილებათა და მანქანების შეძენაზე | 67.580,—90 |
| 1919 წლის მოუთხოვნელი დივიდენდი | 1.061.167,—70 |
| კრედიტორები შავი ქვის შეყიდვის ანგარიშით | 1.254.680,— |
| 1919 წლის დივიდენდის განუკვეთელი ნაშთი | 1.091,—08 |
| გარდამავალი თანხები | 497.742.381,—64 |
| ნაშთი 1919 წლის წმინდა მოგებისა | 199.022,—76 |
| კრედიტორები დასკვნითი ანგარიშით | 117.369.515,—83 |
| კ ო მ ი ტ ე ნ ტ ე ბ ი | 157.203.972,—61 |
| 1920 და 1921 წლების წმინდა მოგება | 1.576.138.793,—63 |
| ბ ა ლ ა ნ ს ი | 2.384.409.926,—93 |

გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე: ის. ვარაზაშვილი.

გამგეობის წევრები: პ. ფ. თოფური, ჯ. ი. აბაშიძე, მ. ი. მებუკე, ან. წერეთელი, ს. ჩიქოვანი. პ. ყიფიანი.

მმართველი ინჟ. ივ. ბერიძე.

მთავარი ბუხგალტერი რ. ღვამიჩავა.



# ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა სააქციო საზოგადოების

## გამგეობა

ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ თანახმად აქციონერთა მე-4-ე არაჩვეულებრივი საზოგადო კრების დადგენილებისა ყველა აქამდე გაცემული საზოგადოების მიერ აქციების

## დროებითი მოწმობები

დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა. **ითვლება გაუქმებულად.**

გაუქმებულ დროებითი მოწმობების ნაცვლად სააქციო საზოგადოების გამგეობა გასცემს

## ახალ დროებითი მოწმობებს

რომელთა დარიგების წესი და დრო ცალკე იქნება გამოცხადებული.

ს. ს. გამგეობა.


ს. მ. ს. უ. ს. პოლიგრაფიული განყოფ. 1-ლი სტამბა, პლეხანოვის ქ. № 91. ნებადრთულია ლიტერატურის და გამომცემლობის მთავ. მართველობის მიერ № 95. ტირაჟი 1300